

ივ. მჭედლიშვილი

გეოგრაფიკული

საქართველოს


ისტორიისათვის

კოლიგრაფსკოლის გამოცემა

თბილისი

1925





## წიგნის ბეჭედი

ბეჭდვითი საქმე და წიგნის სელაგვება ჩვენში მეტად ჩამორჩენილია. მაგრამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა სელისუფლების მეცადინეობით საქართველს პოლიგრაფიული წარმოება აღორძინების გზას დაადგა და ხწრაფად ვითარდება, თუმცა დიდი დაბრკოლებაა იმ მხრივ, რომ ჩვენი ახლ-ამწყობნი და მბეჭდავნი არ არიან თეორიულად მომზადებულნი. ამ ნაკლის შესავსებლად 1923 წ. რედაქციის დირექტორმა ა. ს. ვანო ბელეკაძის სახელის პოლიგრაფიკულმა, სადაც შევირდები სახტამბო სელაგვების ერთად იმენენ ამ სელაგვების საჭირო თეორიულ ცოდნას და სოფად განათლებას.

რასაკვირველია, დაბრკოლება აქაც ბევრია, მაგ. არა კვაკვს საბეჭდალური საქმის მასწავლებლები და არც შესაფერი სასელაგვების მწიგნობარი და ლიტერატურა, მაგრამ ამ სკოლის და წიგნის მწიგნობართა შექმნით თანდათან გაჩნდებიან ერთნიცა და მეორენიც.

ბეჭდვითი სელაგვების აღორძინება-განვითარება ჩვენში დაამოკიდებულია თვით ამ დარგის მუშეებსე. მათ უნდა მოჰკიდონ სელი ღვით-განვითარებას და თავის სელაგვის გაუმჯობესებას. ამისათვის საჭიროა სათანადო წიგნები, სადაც გამუქებული უნდა იყოს ბეჭდვითი სელაგვების ისტორია და თეორია.

განსაკვირვებელი ამს. ივ. მჭედლიშვილის წიგნის გამოცემა პირველი ნაბიჯია ამ გზით გადადგმული პოლიგრაფიკის მიერ. ეს წიგნი უნდა წაიკითოს და შეისწავლოს ბეჭდვითი საქმის ყოველმა მუშაკმა, მით უფრო რომ ის დაწერილია მათი ამსწავლის, მუშა ახლ-ამწყობის მიერ; და უნდა მიბამონ მას, რომელსაც მამინდელ პირაგვებშიაც გი მოუხერხებია და იმდენი ვლოინა შეუქმნია თვითონ თავისით, რომ მთელი წიგნი დაუწყნოთ. ახლა ყველაფერი სელს უწყობს ჩვენი მუშენს თუ გი ასე-



თივე კატაგორიითა და სიყვარულით მიუკიდებინან თავიანთ პრ  
ფესიას.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ჩემ მიერ გახწორებუ  
ლია უმნიშვნელო შეცდომები ზოგი აღუნიშნავად და ზოგიც მ  
ნიშვნების სახით, რომელიც თვით ავტორის შენიშვნებისაგან გ  
სარჩევად მოწერილია ჩემი ინიციალებით (პ. ჯ.). ზოგიერთ ს  
კითხვ კი, რომელიც დღეს სხვანაირად ესმით, მაგრამ გად  
წყვეტილი მაინც არაა, მაგ. აღაროდდიულის და ქართულის მ  
სახემ სულ არ შეკვნივივარ. სურათებიც ჩემ მიერ არის შერჩეულ

დასასრულ მადლობის ღირსია პოლიგრაფტრესტის კოლ  
გია რომელიც ხარჯებს არ მოერიდა და თანაგრძნობით შესწ  
ამ წიგნის გამომცემას.


პ. კანიშვილი.





ასოთ-ამწყობი  
ივანე მჭედლიშვილი  
1873—1918





## ასოთ-ამწყობი ივანე (ვანო) იოსების-ქა მკვლევარი


რომ კერძოდ საქართველოს მუშათა რევოლუციონურ მოძრაობაში ერთი სათვალწინო ალაგი უკავიათ მბეჭდავ მუშებს, ეს აშკარად იქიდანაცა სჩანს, რომ გასაბჭოების დროს საქართველოში მბეჭდავი მუშები არა თუ მარტო კულტურულ-პოლიტიკურ და წარმოებათა დაწესებულების სათავეში მოექცნენ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ მუშურ ხელისუფლებას თითქმის ნახევარ ათეულზე მეტი მბეჭდავი მუშა მისცეს სახალხო კომისართა თანამდებობაზე.

ასეთი ფაქტის შემდეგ გაზვიადებად არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვი, რომ მბეჭდავ მუშებს აქვთ მდიდარი, როგორც რევოლუციონური, ისე კულტურული წარსული.

ამ მბეჭდავ მუშათა შორის წარსულში გამონაკლის არ შეადგენდა ნიკიერი, კარგი ხელოსანი ქართველი ასოთ-ამწყობი ივანე (ვანო) მკვლევარი.

ივანე მკვლევარი დაიბადა ქ. ტფილისში 1873 წელს. მამა მისი იყო დურგალი მუშა. ვანომ მოზარდობაში უბრალო წერა-კითხვა შეისწავლა თავის დედისაგან; შემდეგ მიიბარეს აელაბრის წმ. მარინეს სამრევლო სასწავლებელში, სადაც მან რამდენიმე წლის განმავლობაში დაასრულა სწავლა.

მამა მისი, როგორც გაუნათლებელი კაცი, ვერ ურიგდებოდა პატარა ვანოს სწავლისადმი მისწრაფებას, სწავლა და განვითარება მას დამლუპველად ჰქონდა წარმოდგენილი. ამ აზროვნებით შეპყრობილმა მამამ ვახო სამრევლო სასწავლებლის გათავების შემდეგ მიიბარა შეგირდათ მეწვრილმანეს. მაგრამ ვანოს ბუნება ვერ ეგუებოდა ასეთ ვიწრო აზრებს, მან ზალე დაახწია თავი ამ მეწვრილმანის შეგირობას და 1892 წ. კეთილი პირობის რჩევით და ასოთ-ამწყობ ლევან პოლოსოვის დახმარებით იგი შევიდა ვართანოვის სტამბაში მოწაფე ასოთ-ამწყობად.




ვართანოვის სტამბაში ვანოს ნიჰმა ფრთა გაშალა. სულ რამდენიმე წლის შემდეგ იგი ითვლებოდა საუკეთესო ქართველ ხელოსან ასოთ-ამწყობად. რამდენიმე წლების განმავლობაში მას ვხედავთ ტფილისის თითქმის ყველა სტამბებში; მუშაობდა „დროებაზე“, „კვალზე“, „ივერიაზე“ და მრავალ სხვა ჟურნალ-გაზეთებზე. სულ ბოლოს კი მოექცა „ქართველთა ამხანაგობის“ სტამბაში. აქ მუშაობდა იგი „ცნობის ფურცელზე“, „მოამბეზე“ და ამავე გაზეთებში მრავალ წერილებს ათავსებდა „ქიზიყელის“ და „ავლაბრელი ნინიას“ ხელმოწერით.

1905 წლის მოძრაობის შემდეგ, როდესაც რუსეთის მთავრობის რეაქციამ თავისი დამსჯელი ექსპედიციებით ფრთა გაშალა და დევნა დაუწყო, როგორც საზოგადოდ პროგრესიულ ლიტერატურას, აგრძედე ქართულ პერიოდულ გამოცემებსაც, ამ დროს პარიზიდან ჩამოსულ ასოთ-ამწყობ მიხ. კიენაძესთან ერთად სოც.-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტიის დავალებით ივანე მკედლიშვილი შეუდგა ახალი სტამბის მოწყობას ნიკოლოზის ქუჩაზე. 1907 წელში ჩვენ ვხედავთ ენერგია მოკრებილ რევოლიუციონერების მიერ გამოცემულ გაზ. „ისარს“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორიც იყო ივ. მკედლიშვილი.

ამავე წელში გამოსცა მან „დროების კალენდარი“. ამ კალენდარში მრავალ საყურადღებო მასალათა შორის პირველად იქმნა გამოქვეყნებული ქართველი ხალხისთვის ჯერეთ გაუცნობელი „რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება“ და „პროგრამები“ ყველა პოლიტიკურ-რევოლიუციონურ პარტიებისა. თავის დროზე ამ კალენდარის შინაარსმა ქართველ ხალხში დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ დესპოტ მთავრობას როდი გამოეპარა ეს ინტერესი. — უნდარმერიის განკარგულებით „დროების კალენდარი“ დატყვევებული იქნა და რასაკვირველია ივ. მკედლიშვილიც, როგორც ავტორ-გამომცემელი დევნილი შეიქმნა. ვანო ერთ წელზე მეტი იმალებოდა ხან ტფილისში და ხან კახეთ-ქიზიყში. მთავრობის აგენტები კი ხშირად ჩხრეკდნენ მის სახლს და ბოლოს 1909 წელში იგი დააპატიმრეს ტფილისში და ხუთი თვე მეტეხში ჯდომის შემდეგ გადასახლეს დონის-როსტოვში. მან გადასახლებაში დაჰყო თითქმის ორი წელიწადი, როსტოვში იგი მუშაობდა გაზ. „პრიაზოვკაია კრაი“-ზე“. ტყვეობიდან იგი 1911 წელს გამოიპარა და სცხოვრობდა ჯერ არალეგალურად და შემდეგ ნახევრად ლეგალურად, იმის შემდეგ დაიწყო მუშაობა გაზ. „სახალხო ფურცელზე“ უფროს ასოთ-ამწყობად (მეტრანპაეად).





როგორც ზევითაც ვსთქვი, ივანე მკედლიშვილს წერის ნიჭიც ჰქონდა; იგი მრავალ წერილებს ბეჭდავდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე და სასტამბო ტექნიკის განვითარებაზე.

ვანომ ავლაბრის კულტურულად ჩამორჩენილ მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში საკმარისი წვლილი შეიტანა.


ვანო პატარაობიდანვე ღებულობდა ავლაბრის სახლებში არალეგალურად მოწყობილ წარმოდგენებში მონაწილეობას. 1902 წელში, როდესაც ავლაბარში საძირკველი ჩაეყარა ეგრედწოდებულ „მურაშკოს თეატრს“, სხვებთან ერთად ერთი ინიციატორთაგანი ივანე მკედლიშვილიც იყო. სასცენო ასპარეზე მუშათა უბნებში, როგორც არალეგალურად, ისე ლეგალურად თითქმის 15 — წელი იმსახურა სრულიად უსასყიდლოდ. იგი სცენის მოყვარეთა შორის ერთ საუკეთესო მუშა-მსახიობად ითვლებოდა. სახალხო თეატრებში მას, როგორც რეზონიორს „ქართველ თავადიშვილების“ ტიპების განსახიერებაში თითქმის ბადალი არა ჰყავდა. მას ჰქონდა სასცენო ტალანტი, რასაც ხელს უწყობდა გარეგნობა, დიქცია, მიმიკა და, რაც მთავარია, ქართული ენის ზედმიწევნით ცოდნა.

ყველაფერი ეს მას საშუალებას აძლევდა და მაშინ, (1902 — 1903) წლებში, როდესაც იგი მუშაობდა „გუტენბერგის“ სტამბაში, დროგამოშვებით ქართულ თეატრის დიდ სცენაზედაც გამოდიოდა პატარა-პატარა როლებში.

მაგრამ ყველაფერი ეს დაჩრდილა ივ. მკედლიშვილის იმ სასარგებლო საქმემ, რომელიც მან შესძინა სასტამბო ტექნიკის განვითარებას.

ჩვენდა სამარცხვინოთ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ქართველი სტამბის მუშები არა თუ არ იცნობენ ქართული სტამბის ისტორიას, არამედ ბევრს არც კი სურს გაეცნოს და სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ ცვლილება, რომელიც გუშინწინ მათი აზრით ივ. მკედლიშვილის უნარით მოხდა ქართულ ბეჭდვითი ტექნიკაში, დღესაც უმრავლესობამ არ იცის და ვინც იცოდა, იმათაც „დავიწყებას“ მისცეს თავი.

ამიტომ სრულიად მართალია ჩვენი მოხუცებული მწიგნობარი, ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც გულის მტკივნეულობით ამბობს ხშირად: — მართალია, რომ მბეჭდავი მუშები პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულები არიან, მაგრამ ამ დადებითს, უარყოფითი მხარეც აქვს და ეს უარყოფითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ მათ არა აქვთ მიდრეკილება თავიანთ ვინაობის გაგებისა, ისტორიის შესწავლისა და მაგალითისათვის ამბობს, რომ, წინეთ, რო-



დესაც სტამბის მუშა მოკვდებოდა, იარაღის კალატოზები მარხავდნენ და ეს ისე ხდებოდა, რომ სტამბის მუშებმა არაფერი არ იცოდნენ თავიანთი დანაკარგის შესახებო.

ასეთ თქმაში ზაქარია მართალია იმდენად, რამდენადაც ასეთ მოვლენებს მხოლოდ წარსულში ჰქონდა ალაგი და არა დღეს: დღეს ყველამ კარგად იცის, რომ მბუქლავთა კავშირი ერთ საუკეთესო მოწინავე კავშირად ითვლება საქართველოში და მისი წევრების პოლიტიკურ-კულტურული შეგნებაც საკმაო სიმაღლის დონეზე სდგას; ეს უეჭველად ასეა, მაგრამ მაინცა გვაქვს ნაკლი და ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ ვიცით ქართული სტამბის თავგადასავალი.

შეიძლება ბევრმა სტამბის მუშამ სთქვას: — საიდგან გვეცოდინება, როდესაც საამისო მასალები არ მოგვეპოვებაო. ეს მართალია, მაგრამ საესებთაც ასე არ არის. ავიღოთ მაგალითად იმავე ივ. მჭედლიშვილის წიგნი და ვიკითხოთ: — საიდგან დააგროვა ივ. მჭედლიშვილმა ამ წიგნის მასალა?


ცხადია, რომ აქ ოდნავი ჩაფიქრებაა საჭირო და ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ ივ. მჭედლიშვილის პატარა წიგნი ცრუ თხზულება კი არ არის, არამედ ის კულტურული მუშის ნიჭის, მისი დაკვირვებების და კვლევა-ძიების შედეგია.

რამდენადაც მეტი მუშა გვეყოლება ასეთები, იმდენად კარგი მომავლის პერსპექტივა ექნება ჩვენს ბეჭვდითი საქმეს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენს სინამდვილეში ეს ასე არ არის. პირიქით; ჩვენში უბრალო „ობივატელი“ კრიტიკოსები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე მოსაქმე და მოაზროვნე ხალხი. არიან ჩვენში ისეთებიც, რომელთაც არა თუ არაფერი არ გაუკეთებიათ, არამედ არცა ფიქრობენ რისამე გაკეთებას და ამავე დროს სხვის გაკეთებულსაც იწუნებენ.

გადაავლეთ თვალი ძველ ქართულ ლიტერატურას და ჩვენ აშკარად დავრწმუნდებით, რომ ქართულ სასტამბო ტექნიკაში უკანასკნელ ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიდი, კარდინალური ცვლილება მომხდარა. მაგრამ ტექნიკის ეს დაწინაურება ჩვენს ქვეყანაში უეჭველად ევროპის და ნაწილობრივ რუსეთის ზეგავლენით არის მომხდარი და საკუთარი უნარით კი თითქმის არაფერი.

ჩვენში ერთი პატარა უჩინარი საქმე გაკეთდა ერთ დროს. ეს პატარა საქმე იმავე უჩინარი მუშის ივ. მჭედლიშვილის უნარი იყო: მე მოგახსენებთ ქართულ შრიფტში ცვლილების შეტანაზე.

წინეთ ჩვენში (1910 წლამდე) ხმარებაში იყო ჩვეულებრივად ეგრედწოდებული „ვენური ასო“ (№ 12) და ამ ასოს ზოგიერთ შე-




მთხვევაში დღესაც ხმარობენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერს არ ვამბობთ ამ ასოს უვარგისობაზე სტილის მხრივ, მაგრამ განსვენებულმა ამხ. ივ. მკედლიშვილმა ამ ასოში ცვლილების მოხდენა განიზრახა წმინდა ეკონომიური მოსაზრებით. თავის დროზე ამ მუშის „ახალ საქმეს“ ეკვის თვალთ შებედა ლიტერატურულმა ინტელიგენციამ. ივ. მკედლიშვილს ბევრი წერილების დაწერვა მოუხდა ამ საკითხზე, ბევრი იბრძოლა და ბოლოს, როგორც იქნა, თავისი გაიტანა „ურწმუნო თომათა“ წინაშე და ასოთ-ჩამომსხმელ პაველ გალუსტოვის დახმარებით და დამზადებულ მატრიცებით ქაოთულ სტამბას მისცა ახლად ჩაროხხმული შრიფტი. ვანომ ჩვენ ახალი სტილის შრიფტი ვერ მოგვცა, მაგრამ მან არსებულში დიდი ცვლილება მოახდინა იმ მხრივ, რომ ასო (ვენური) № 12 აქცია № 10-ათ (ამ ეამად კორპუსად წოდებული) და შეხედულება კი ისევ ძველი № 12-ტის დაუტოვა სრულიად უმნიშვნელო და უჩინარი განსხვავებით და ეს უჩინარი განსხვავება კი გამოიწვია ზოგიერთი ასოების ზეგაყენებამ, როგორც მაგალითად წ. ქ. რ. ლ. და სხვ.

მას ამ ცვლილების მოხდენის დროს, რასაკვირველია, ბევრი სერიოზული დაბრკოლებები შეხვდა, რომელიც მან თავისი მახვილი გონებით გადალახა და დასძლია—არა თუ მარტო დასძლია, ის ამ მიმართულებით ძალიან ბევრსა მუშაობდა და, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იგი სრულიად მთელ ქართულ ასოების გადახალისებას აპირებდა, რომ დასცლოდა.

პირველად ამ ასოთი 1910 წ. აიწყო გაზ. „სახ. ფურცელი“, შემდეგ სხვა ჟურნალ-გაზეთები და რაკი მესტამბეთა და წერილი-ლიტერატორთა უმრავლესობა დარწმუნდა, რომ ეს ახალი ასო დიდ ეკონომიას აკეთებდა ყოველის მხრივ ბეჭედიით საქმეში, ყველამ მიჰმართა მას და ამნაირად ხმარებაში შემოვიდა ვენური სტილის № 10-თი, ეხლა კი კორპუსად წოდებული.

ასოთ-ამწყობ ივ. მკედლიშვილს მოსვენებას არ აძლევდა მამა-პაპის ხნიდან არსებული ჩვენი სასტამბო ტენიკა. და როგორც ხე-ვითაც ვსთქვით, რომ დასცლოდა, ბევრ რასმეს შესძენდა ჩვენს ეროვნულ ბეჭედიით საქმეს; მით უმეტეს ჩვენს ხანაში, როდესაც მუშის ყოველგვარ ნაწარმოებს, გამოგონებას და ინიციატივას საბჭოთა ხელისუფლება კი არა ზღუდავს, როგორც ეს წინა დღეებოდა, არამედ მას ყველაფერში ეხმარება მატერიალურად, მორალურად და ფართო გასაქანს აძლევს თვითმოქმედებისათვის.

ამის მაგალით ჩვენ უკვე გარდაცვალებულ ივანე მკედლიშვილის ნაწარმოების წიგნათ გამოცემაში ვხედავთ და ვფიქრობთ, რომ



„ცოცხლებს“ მეტი საშუალება აქვთ გაათართოვონ ამ მიმართულებით მუშაობა.

რუსეთში ამ მხრით მუშაობა დიდი ხანია სწარმოებს. იქ სტამბის მუშის მოგონებათა, წერილებს დიდ ადგილს უთმობს ხელისუფლება და ცალკე წიგნებათ და ბროშურებათაც სცემს.

საჭიროა, საქართველოშიაც მოჰკიდონ სტამბის მუშებმა ამ საქმეს ხელი, სწერონ მოგონებები, მიმოხილვები და კრიტიკული წერილები მით უმეტეს, რომ ჩვენშიაც ჯერ კიდევ ბევრი არიან ძველი სტამბის მუშები: თორემ სხვანაირად ჩვენ ვერც ქართულ ბეჭდვითი ტექნიკას დავაწინაურებთ და ვერც ქართული სტამბის ისტორიას შევქმნით.


ივ. მჭედლიშვილი კი როგორც მუშა, მუდამ დარჩება მუშათა კლასის და კერძოდ ქართველი ერისთვის გმირად.


დასასრულ ერთ სამწუხარო გარემოებას უნდა გაუსვათ ხაზი: ივ. მჭედლიშვილს, როგორც ვიცი, ჰქონდა აუარებელი ლიტერატურული კოლექცია ძველი გამოცემათა ნიმუშებისა და მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა დედამ ხელმოკლეობის გამო გაჰყიდა.

ივ. მჭედლიშვილი გარდაიცვალა 1918 წლის მარტის 7-ში. ის გაცივდა მეტეხის ციხეში იმ დროს, როდესაც რუსეთის დიდი რევოლუციის დროს ციხეში გამომწყვდეულ მთავრობის მოხელეებს, ჟანდარმებს, პოლიციელებს და მუშათა კლასის ყოველგვარ მტრებს სხვა რაზმელებთან ერთად სდარაჯობდა.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

1 მარტი 1925 წ.






ცხოვრება უპოვებლად — ქართველთათვის.  
ნათება უხელთებლად — ნათებათათვის.

# I

## შევედრე დროს და სხვათა მკაცრად.




სოფარ დროში, როცა პირველად გაჩნდნენ ადამიანები, არავითარი ნიშანი მწერლობისა არ არსებობდა. ამ რდოს საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად მარტივი და სადა იყო, რომ არც ერთის მისი მოვლენის, ანუ შემთხვევის აღნუსხვა და გარეგანი გამოხატვა საჭირო არ იყო.

განვლო რამოდენიმე საუკუნემ და ზოგიერთებმა, მაგ. სპარსელებმა და ჩინელებმა შემოიღეს ერთგვარი ნიშნები, რომლითაც აღნიშნავდნენ ხოლმე რაც საჭირო იყო ვაჭრობა-აღებმციემობის დროს ზონარს გამონასკვადნენ სხვა და სხვა სახით, რასაც უწოდებდნენ „გამონასკულ წერას“. (იხ. სურ. 1)

ამგვარი ნიშნები გამოიგონეს აგრედვე პერუს მცხოვრებლებმა. ესენიც იმ გვარად აიღებდნენ სიგარძით რამოდენიმე ადლიან ზონარს იმაზე სხვა და სხვანაირად შენასკვამდნენ ფუნჯებს, სხვა და სხვა ფერის ზონარს და ამგვარს გადახლართულ-გადმოხლართულ კვანძებს აწვეინებდნენ ანბანისა და სიტყვების მაგიერობას. ზოგი ერთ შემთხვევაში იმდენს ნასკვებს გააკეთებდნენ ხოლმე, რომ ამგვარი დახევეული გორგალი ფუთზე მეტსაც აიწონიდა. ამ კვანძებში ყველას თავთავისი მნიშვნელობა ჰქონდა: სახეს, სიგარძეს, კვანძების მოყვანილობას, ფუნჯების ფერს და სხვ. ასეთი ნიშნები ეხლაც ინახება ამერიკისა და ისპანიის მუზეუმებში. ამ გვარს ნიშნებს ეხლაც ხმარობენ ზოგიერთი აფრიკაში მცხოვრები ველური ხალხი, რომელნიც წყნარ ოკიანეს კუნძულებზე არიან დაბანკებულნი.

ზოგიერთი ინდოელი ტომები, რომელნიც ჩრდილო-ამერიკაში სცხოვრობდნენ, ხმარობდნენ სხვა გვარს საშუალებას: სადაფს ზოგან გაუჩერებდადნენ, ზოგან გაუხერხავდნენ, ზოგს წვრილ თასმებს დაახვ-



დნენ სხვა და ასხვა სახით და უკეთებდნენ სხვა და სხვა კვანძებს. ასე, ამგვარს ნიშნებსაც წერის მაგიერობას აწვევინებდნენ<sup>1)</sup>. (იხ. სურ. 2).

მწერლობის ისტორიის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს ის დრო, როცა გამოგონებულ იქმნა თითოული სტყვის ცალკე ნიშნით გამოხატვა — პირდაპირ სიტყვებით წერა. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია დღეს, რომ სიტყვებით წერას წინ უძლოდა ფიგურებით წერა. (იხ. სურ. 3) ამისათვის მწერლობის დასაწყისი ამ ფიგურებში მოიძებნება. აგრედვე ველურ ხალხთა აღწერიდან ვიცით, რომ ისინი ბუნების ამა თუ იმ მოვლენას და რომელსამე შესანიშნავს შემთხვევას თავიანთს ცხოვრებიდან შესაფერი ფიგურებით გამოხატავდნენ კლდეებზე, ან ხეებზე ხოლმე. ასეთი ფიგურებით ზოგჯერ მთელი ამბებია აღწერილი და ზოგი იმათგანი ახსნილი და გამორკვეულიც არის მეცნიერებისაგან. უხსოვარ დროს ჩინელები ხმარობდნენ შემდეგ სურათებს: თუ უნდოდათ დაეწერათ მზე, დახატავდნენ მზეს, თუ უნდოდათ კლდე — გააკეთებდნენ სამს დაკლაქნილს ხაზს და ასე ამგვარად ყველა სიტყვას თითოული სურათით აღნიშნავდნენ ხოლმე.<sup>2)</sup>

იმ დროს, როცა ევროპიელებმა აღმოაჩინეს ამერიკა, მექსიკის მცხოვრებთ იმდენად შეემუშავებინათ ფიგურებით წერა, რომ ამის საშუალებით ისინი ჰხატავდნენ არა თუ თავიანთ მეფეთა სახელებს, არამედ ადგენდნენ სტატისტიკურს ცნობებს მცხოვრებლებზე, გადასახადებზე და სხვ. ამ ფიგურების შესწავლამ იმ დასკვნამდის მიიყვანა მკვლევარი, რომ მექსიკელებს (ოტალა დაჰკლებით, რომ ფიგურებით წერიდან გადასულიყვნენ სიტყვებით წერაზე, მაგრამ თუ იმათ ვერ გადაადგეს წინ ნაბიჯი, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მრავალი მიზეზი გადაელობათ წინ. ასეთ ქვეყნად უნდა ჩაითვალოს ძველი ეგვიპტე, რომლის პიეროგლიფური ნაწერების შესწავლა ნათლად გვაჩვენებს ფიგურული წერის ანბანურად თანდათან გარდაქმნას.


ეგვიპტელები უძველეს ხალხათ ითვლებიან. იმათში იმდენად განვითარებული ყოფილა ლიტერატურული ცოდნა, ხელოვნება და მეცნიერება, რომ მსწავლულთა ცნობებით, უმაღლეს წერტილამდე აღწეულა. იმდროინდელი ყველა ძეგლებზე გამოსახული სხვა და სხვაგვარი ნიშნები და ფიგურები, პიეროგლიფები, ამტკიცებს, რომ ამგვარს ნახატებს ყველას წერილობითი მნიშვნელობა ჰქონია. (იხ. სურ. 4).

<sup>1)</sup> იხ. «Краткие сведения по типографскому делу. П. Коломнина 33. 6 — 7».

<sup>2)</sup> დღეს ჩინელები ისეთს ანბანსა ხმარობენ, რომლის შესწავლას — ყველა ვერ შესძლებს. მთელი ანბანის ნიშნები შეიცავს 40.000 და გაყოფილია 214 ნაწილად. იაპონიელებმა თავიანთი ანბანი გადაიღეს ამ უკანასკნელებისაგან, ხოლო შუამოკლეს და 80 ასოზე დაიყვანეს (Большая энциклопедия, т. I გვ. 405).

ნამდვილი ანბანური სისტემის შექმნა მწერლობაში ეგვიპტეს მანინ(კ არ ეკუთვნის<sup>3)</sup>). ეს უშესანიშნავესი აღმოჩენა კაცობრივობის ისტორიაში უფრო მიეწერება ფინიკიელებს, უძველეს ალებ-მიმცემ ხალხს, რომელთაც დიდი კვალი დააჩინეს კაცობრიობის განვითარებაში. <sup>4)</sup> ეს გარემოება აშკარად გვეუბნება, რომ ეაქრობისა და ალებ-

სურ. 1



### ქ ვ ი ვ უ.

ასეთ გამომანათლებელ ზონათუბს სმართლდენენ პერთს მსტაჯაქენი რებას მავაიქ

<sup>3)</sup> ასე ფიქრობდნენ უწინ. ესლა კი გამტკიცებულა ის ახრი, რომ სწორედ ეგვიპტელებს ეკუთვნით ანბანის გამოგონება. მათ ჰქონიათ 24 ნიშანი — ჰიეროგლიფი ბგერების დასაწერად და ხმარობდნენ მათ საქიროების დროს, თუმც არას დროს არ სწერდნენ მარტო ამ ანბანური ნიშნებით, რასაც თავის მიზეზები ჰქონდა. ფინიკიელების დამსახურება კი იმაში გამოიხატება, რომ მათ გადმოიღეს ეგვიპტელებისაგან ეს ფონეტიკური ნიშნები და გააერთილეს ის საყველთავეთ. (აკად. ბ. ტურავევი, პროფ. ვ. სტრუვე, კ. ვეილე და სხვები). პ. კ.

<sup>4)</sup> ფინიკიელები უძველესი ხალხია. მათ პირველად სპარსეთის ყურეში უცხოერიათ, შემდეგ არაბეთში. იქიდან გადასულან პალესტინაში და სირიაში და შემდეგში ფინიკიაში დასახლებულან. ფინიკიელების საკუთარ სამშობლოდ ჩაითვლება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები. თითონ ფინიკიელები თავიანთ მიწა-წყალს „ხანანს“ უწოდებდნენ. ესენი მისდევდნენ მეზღვაურობას, გემთა შენებასა და სამთამადნო მრეწველობას. ამათვე მიეწერებათ მინებისა და წითელი საღებავების გამოგონება.

მიცემობის გაუმჯობესებამ, რაც თავის მხრივ ნივთიერი წარმოების გაუმჯობესების შედეგი იყო, გამოიწვია წერის ნიშნების გაუმჯობესება. ძველად ფინიკიელები ბოძებზე სკრიბდნენ ხოლმე ანბანს. ეს იყო 895 წ. ქრისტეს დაბადებამდე. ერთი ასეთი ბოძი ინახება პარიზში. ფინიკიელების ანბანი 24 ასოსაგან შესდგება. ასეთის გაუმჯობესებით ამ ხალხმა შესაძინა ნაბიჯი გადასდგა წარმატებისაკენ.

ფინიკიელების შემდეგ ასოების სახელები და ნიშნები გადაიტანეს ბერძნებმა. ამათ ანბანური სისტემით წერა შემოიღეს მე-X საუკუნეში. მერე ნახევრიდან ქრისტეს დაბადებამდე, ხოლო ლათინური ანბანი წარმოიშვა ბერძნულისაგან. ასე რომ შემდეგში ანბანი გავრცელდა მთელს ევროპაში და ბევრს აზიისა და აფრიკის ქვეყნებშიაც, ზოგან თითქმის უცვლელად, ზოგან კი ცვლილებით.

ქართული ანბანის შესახებ შემდეგი ცნობაა: ალაროდისული ლურსმული ნაწერების აღმოჩენამ ქართული ანბანის წარმოშობას ახალი სხივი მოჰფინა. ლენორმანი ამბობს, რომ ალაროდისული ენა ნამდვილი ქართულიაო. საიდანა და როგორ გაჩნდა ლურსმული წერა ალაროდისულში, მოთხრობილია თვით იმავე ლურსმულ წარწერებში. ალაროდისული წარწერებიც ემსგავსება ასურულ წარწერებს. ერთადერთი პალეოგრაფიული განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ალაროდისულ წარწერებში უხმარიათ ორი განცალკევებული გეზი, მაგრამ ეს ადგილობრივი ცვლილება შემოდის შემდეგ. პრიველად კი ალაროდისული წარწერები არაფრით არ განიჩევიდა ასურულს წარწერებისაგან.

ყველაზე უძველესი წერის ნიმუში არის შულცისაგან აღნიშნული წარწერა და აგრედვე ჯერ გამოუქვეყნებელი წარწერა, რომელიც გადაუღია ლეარდსა. ეს ორი წარწერა, რომელთა ტექსტები არაფრით არ განსხვავდება, ამოქრილია ასურულად ალაროდისის მეფის ბრძანებით. ამას განუზრახავს თავის ხალხში გაეცრელებინა ქალდო-ასურული წერა-კითხვა და ყოველივე სწავლა-განათლება. ამისათვის მოუწვევია თავის სამეფოში ასურელი მწერლები და იმათ ამოუქრიათ თავიანთ საკუთარს ენაზე ოფიციალური წარწერები და ამგვარად ასურული ენა ღროებით გამხდარა ამათ მსწავლულთა ენათ. მაგრამ ასეთმა ღროებითმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა. მცირე დროს შემდეგ სჩანს, რომ ასურული წერითი სისტემით დაუწყვიათ ადგილობრივ ენაზე წერა, რასაც ამტკიცებს ერთი წარწერა. ადგილობრივ ენაზე ამოქრილი. წარწერებს უფრო სამღრთო მიმართულება აქვთ და ზოგიერთი კი, რომელიც უფრო ვრცელია, ისტორიულ ამბებსაც მოგვითხრობს. მაგ. დიდი ლაშქრობა და ომები უც-




ხო ხალხის წინააღმდეგ, რომელთა შორის ხშირად ასურელებსა და ბაბილონელებს შეეხება: მოგვიტხოვს აგრედვე ქალაქებისა და თემების აღებას, მთლად ჩამოგვითვლის დავლას და სხვ. ლენორმანის აზრით, ამ წარწერების ენა მეტის-მეტად ემსგავსება ქართულს ენას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალაროდელ ლურსმნურ წარწერათა ენა სრულიათ არ ენათესავება სომხურს. ის ხალხი, რომელსაც ამოუჭრიათ ეს წარწერანი და რომელიც მარტოდ-მარტო ჰქვლობდა იმ ქვეყანას მეექვსე საუკუნემდე (ქრისტეს მოსვლამდე), არავითარი მონათესავე არა ყოფილა სომხებისა, არც შთამოვლობითა და არც ენით. სომხები შემოსულან ამ ქვეყანაში მხოლოდ უკანასკნელ წარწერათა შემდეგ.

ჩვენში საზოგადოდ ის აზრია გავრცელებული, რომ ვითომც მხედრული ანბანი შემოეღოს ფარნავაზ მეფეს, მაგრამ ამ აზრს „ქართ. ცხ.“ არ ამტკიცებს. იგი ამბობს: „ფარნავაზმა შეჰქმნა მწიგნობრობა ქართულიო“. აქ მხედრულ ანბანზე არაფერია ნათქვამი. ჩვენში სულ ძველად ხუცური ასო-მთაერული იხმარებოდა, საიდანაც მე-VI-VII საუკ. წარმოიშვა ხუცური წერილი ამბანი. აქედანვე მე-X საუკ. ჩნდება მხედრული ანბანი, რომელსაც მე-XI-XII საუკ. ჯერ კიდევ ხუცური ასოების თვისება აქვს. რომ ხუცური ასო მთაერული ძველისძველია, რომ ამისაგან მომდინარეობს დანარჩენი ორივე ანბანი, ამას მოწმობენ ჩვენი მანეთები (მე-V საუკ.), ძველი ხელთნაწერები (მე-V-VII საუკ.). ბატონიშვილი თეიმურაზი ამბობს: რომელნიმე მეისტორიენი ჩვენი გულ-მსიტყველობდნენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისაცა“. ვინ იყო ეს მეისტორიენი, არა სჩანს, მაგრამ როდესაც ძველის-ძველი ჩვენი მწერლობის პალეოგრაფიას გადავავლებთ თვალს, აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია ჩვენს ანბანს ის სისრულე და ფორმების სიმშვენიერე აქონიყო, თუ იმას კარგი დიდი დრო არ გაევილო. როგორც სჩანს, თუმცა ქართული ანბანი შეკავშირებულია ინდოეთის ანბანთან, მაგრამ ასოების რიგი სრულიად იმ ანბანს ეკუთვნის, რომელიც კადმურ ანბანად არის ცნობილი და რომელიც საბერძნეთიდან შეტანილია მცირე აზიის ქვეყნებში -- ლაზიაში და ფრიგიაში. 3)

ისტორიკოს დ. ბაქრაძის თქმით: თუ ქართული ანბანის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებას, შევნიშნავთ, რომ ზგი ბერძნული ასოების რიგია. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები ზგის ფორმე-


3) იხ. ილ. ოქრომქველიშვილის „ვინ მოიგონა ანბანი“, „ივერიკე“ 1881 წ. № 8, გვ. 98—112 და Maspero, flits anc. des peuples del' Orient 1876, გვ. 601—604.



ბით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებს. ასო ს „ს“ როგორც ქართულში, აგრედვე უძველეს ბერძნულში ერთი და იგივე სახელწოდება აქვს. მართალია, ზოგი ჩვენი ასოები, მეტადრე ასო-მთავრულისა ხუცურში როგორც თვით ფორმებით, აგრედვე გამოთქმით უახლოვდებიან დევა-ნაგირსა და სხვა ანბანებს ინდოეთისას, მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ანბანი სხვა და სხვა დროს ანბანებიდან შეევსებულა და, ჩემის მოსაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული ახალშენები დამყარებულია ჩვენს მეზობლად შავი-ზღვის ნაპირზე. თვით ლექსნი: მელანი და კალამი იმ დროიდან უნდა გვეკონდეს ბერძნებისაგან მითვისებული.


რაც შეეხება იმას, რომ ზოგიერთი ისტორიული წყაროები აღნიშნავენ, ვითომც ქართული ანბანი მე-V საუკ. ქრისტეს შემდეგ გამოეგონებინოს სომეხთა არქიმანდრიტს მესროფს, ისტორიული წყაროებივე ღალადებენ, რომ ასეთი ცნობები სიმართლეს შოკლებულია. რომელი ქართული ანბანი უნდა იყოს მესროფის მიერ გამოგონილი: მხედრული თუ ხუცური? თუ მხედრულია, წყაროებიდან სჩანს, რომ მხედრულის კვალი მე-X საუკუნემდე სრულიად არა სჩანს არც მანეთებზე, არც ძველს შენობებზე, არც გუჯრებზე და ტყავზე ნაწერ წიგნებში. ვარაზ-ბაქარამდე უნდა ჰქონოდათ, თუ არა ქართველებს საკუთარი ანბანი? თუ არა და მანამდე რა ანბანსა ხმარობდნენ მიწერ-მოწერაში და წირვა-ლოცვაში? თუ ანბანი ჰქონდათ ქართველების მოსაზღვრე ბერძნებს, ასურელებს და სომეხებს, უეჭველია ქართველებსაც უნდა ჰქონიყთ. რომ მესროფის დრომდე ჩვენში ხუცურ ასო-მთავრულსა ხმარობდნენ, ეს ცხადია. იგი მე-V-VII საუკ. გვიჩვენებს ისეთ წარმატებას, რომელიც პალეოგრაფიულის კანონით მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ეძლევა ყველა ანბანებს.

აი, ამის შესახებ მე-XI საუკუნის სომეხთა ისტორიკოსი ვარდანი რასა სწერს: როგორცა სჩანს, სომხის ისტორიკოსნი ამბობენ, რომ მესროფმა შეადგინა სომხური ანბანი და მერე ქართულიო. ის უფრო დასაჯერებელია, რომ მას არც სომხური და არც ქართული ანბანი არ შეუდგენია. არამედ იმ დროინდელ წარმართების გრძნეულებში, რაც გრძნეულებისათვის ძველადგანვე ხმარებული ასოები იყო მოწვეული იქამდის, ისინი იხმარა მესროფმა ანბანის გასაწყობად. ხოლო ქართველთაც მათ მიჰბადეს და გაიჩინეს თავიანთი ანბანი. ამითი აიხსნება სომეხებისა და ქართველების სხვა და სხვა სახის ანბანთ შედგენაო.“ („ძველი მწიგნობრობა“, ვენეტიკაში გამოც. გვ. 56.) ხოლო მეცნიერი ფულმანი ამტკიცებს: „სომხური ანბანი ქარ-



თული ანბანიდან არის შედგენილი; ამათი წყარო სემიური და საკუთრად არამეული ანბანია, რომელსაც ადრე სპარსები ხმარობდნენ. მესროფის შრომა ის არის, რომ ბერძნულის რიგით დაუწყვიანო.“ (იქვე, გვ. 46).

სურ. 2



ვ ა მ კ უ მ.

ჩრდილო-აზიის მცხოვრებელთა რაიონის შავიყვითელი საშუალოდ: ლოკოპინას ნიქარში აღმოჩენილი ბონაპოლი. ზოგჯერ რაიონი აცხადებდნენ და მანინ უფროდობა ვაძუქმ.


ერებას, მწვეტიანს ლითონს. როგორც ჰხედავთ, ეს მასალა ან მეტად მძიმე და ძვირი იყო, როგორც ქვა და ლითონი, ან უხერხული და ადვილად გასაფუქტებელი, როგორც ხე. თვით წერაც ამ მასალაზე

ასე რომ ასურეთის ზეგავლენით ალაროდიელებს შეუქმნიათ საკუთარი ლურსმული წერა. თუ ჩვენ, ქართველები, ნამდვილად შთამომავალნი ვართ ალაროდიელების, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ჩვენი ასო-მთავრული ხუცურიც, რომლიდანაც წარმოსდგა ხუცური წვრილი ანბანი და შემდეგ მხედრულიც, ამ ალაროდიელების ლურსმული წარწერებიდან გამომდინარეობს<sup>5)</sup>.

ამნაირად სრულიად ახალი ხანა დადგა მწერლობის ისტორიაში ბგერათა ნიშნების გამოგონებით, რითიც შესაძლებელი შეიქმნა არა თუ მარტივი სახელების დაწერა, არამედ ყოველივე აზრისაც, რომელიც სიტყვებით შეუძლიან ადამიანს წარმოსთქვას. მაგრამ დაბრკოლება იყო მეორე მხრით. აზრის გამოხატვა წერით გაადვილდა, მაგრამ რაზე უნდა დაწერილიყო?

იარაღად წერისათვის ხმარობდნენ მკრელსა და მაგარს ნივთი-

<sup>5)</sup> ხუცური ანბანი — მოსე ხორენელის ცნობით — შეადგინა კახელმა მეცნიერმა ბენიამინმა. ის იყო შეწყობილი კახეთში, იქაურ მცხოვრებ ხალხის გარდასენების ენაზე, რომელნიც იყვნენ ქართველნი ვადმოსახლებულნი 160 წელს კრისტეს მოსვლამდე სპარსეთის მეფის ძმის ვალარშაისაგან. იმერეთიდან და ბათომიდან. იხ. История М. Хоренский. გვ. 81 — 85 და 211. აგრეთვე კამანჯატეაცო გვერდი 5.)




არ იყო ადვილი. შემდეგში ადამიანმა ზოგიერთს ადგილებში მოიფიქრა საწერ მასალად თიხის გამოყენება. აკეთებდნენ თიხის ფირფიტებს, ზედ, ვიდრე გაშრებოდა, მოჭხაზავდნენ რაც დასაწერი იყო და შემდეგ გამოსწავდნენ ცეცხლში. ამნაირ თიხის ფიცრებს ჰგზავნიდნენ სადაც და ვისთანაც უნდოდათ და აგრეთვე ინახავდნენ მომავალი თაობისათვის. მაგალითად, ქვის ფირფიტაზე ამოუჭრია მოსეს ათი მცნებაც. თიხის ფირფიტებზე ნაწერი ბლომად მოიპოვებოდა ეხლაც ასურეთსა და ბაბილონის ქალაქების ნაშთებში, სადაც თურმე ყოფილა მდიდარი წიგნთსაცავები, მოწყობილი იმავე რიგზე, როგორც ეხლაა. ამ წიგნთსაცავებში ნაწერი თიხის ფიცრები ინახებოდნენ თურმე რიგზე ნომრობით, ჰქონდათ შედენილი ნუსხა და საკითხავად შემსვლელები მოითხოვდნენ ხოლმე ნაწერს ნომრის დასახელებით. თიხის ფირფიტებზე ნაწერი არის სოლის მსგავსი. (იხილეთ სურათი 5).

ეს დაბრკოლება თანდათან აცილებულ იქნა. განვითარების კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი აღმოჩენა იწვევს მეორეს და შესაძლებს და ასე ამგვარად. ნამდვილ წარმატების გზაზე დადგა წერაკითხვის გავრცელების საქმე, როდესაც შემოიღეს უფრო მსუბუქი, ადვილად სახმარებელი და საწერადაც ხელსაყრელი მასალა. ასეთი იყო პაპირუსი, შემდეგ ეტრატი და ბოლოს ქალაღი.

რადგან გრძნობდნენ, რომ თიხის ფირფიტების ტარება სხვადასხვა ადგილებში საძნელო იყო, ამიტომ უფრო ადვილი საშუალება გამოიგონეს: ხის ფირფიტებზე წვეტიანი იარაღით ამოჭრა. ამგვარის ფირფიტების ამოჭრამ მე-XIII საუკუნემდე მიაღწია.

პაპირუსის მცენარე იზრდებოდა ეგვიპტისა და პალესტინის ქობებში. ამ მცენარის ღეროს იმ ნაწილს, რომელიც წყალში იყო მოქცეული, ჰხეთქავდნენ, ამოიღებდნენ გულს და დათლიდნენ კეცკეცებად, ასუფთავებდნენ, ასწორებდნენ, ერთმანეთზე გადააბამდნენ სიგრძითა და სიგანით და იმ სიგრძისა და სიგანის ზოლებს აკეთებდნენ, როგორიც უნდოდათ. პაპირუსზე წერა შემოღებული იქნა უხსოვარის დროიდან. არის დარჩენილი ამ მასალაზე ნაწერი, რომელიც ეკუთვნის მე-XVI საუკუნეს ქრისტეს მოსვლამდე. სწერდნენ მელნით მხოლოდ ერთ მხარეზე. პაპირუსის ზოლები ჩვეულებრივ იყო ვიწრო და გრძელი, 15—18 მეტრამდე. იწერებოდა ან სიგანეზე გრძელ სვეტად, ან სიგრძეზე წვრილ-წვრილ სვეტებად. დაწერილ ზოლებს ახვევდნენ წვრილ ჯოხზე, რომლის სიგრძე უდრიდა პაპირუსის სიგანეს და ინახავდნენ. (იხ. სურ. 6) ამაზე წერაცა და შენახვაც ადვილი იყო და გაგზავნ-გამოგზავნაც მეტად სახერხო. ამ მასალის ნა-



კლუღეანება ის იყო, რომ მისი რაოდენობა დამოკიდებული იყო მოსავალზე და არც ყველგან მოდიოდა ეს მცენარე.


პეროდოტეს გადმოცემით, რომელსაც მე-V საუკ. ქრისტეს მოსვლამდე უცხოვრია, პერგამენტი უმზადებიან ხარის, ცხვრის, თხის, ვირის, ან სხვა რომელიმე ცხოველის ტყავისაგან. ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანის კანიდანაც გაუკეთებიათ. სახელი პერგამენტი დაერქვა პერგამის ქალაქისაგან, სადაც პირველად იწყეს მისი კეთება. პერგამენტის ღირსება ის იყო პაპირუსთან შედარებით, რომ იმაზე ორსავე მხრით იწერებოდა მელნით და უფრო მაგარი იყო. იმას ზოლებათ აკეთებდნენ და ახვევდნენ ჯოხზე.

პერგამენტის ზოლებზედაც ისე იწერებოდა, როგორც პაპირუსზე ან სიგრძეზე სვეტ-სვეტად, ან სიგანეზე ერთს გრძელ სვეტად.<sup>1)</sup> როდესაც ერთი მხარე სულ აივსებოდა, განაგრძობდნენ მეორე მხარეზე იმ ბოლოდან, სადაც პირველი მხარეზე თავდებოდა ნაწერი. ასეა დაწერილი მაგალითად ის ურიცხვი ქართული გუჯრები და სიგელები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ.

პერგამენტის ღირსება კიდევ ის იყო, რომ მისი სიმაგრისა გამო, შესაძლებელი იყო ერთხელ დაწერილი გადაეფხიკათ, ან გადაერეცხათ და ხელმეორედ სხვა რამე დაეწერათ ამავე ადგილას. ამას აიძულებდა ხოლმე ამ მასალის სიძვირე და ხშირად უშოვრობაც. პერგამენტი თუმცა ბევრათ უკეთესი მასალა იყო, ვიდრე პაპირუსი, მაგრამ სიძვირის გამო ღიდხანს მისი გამოგონების შემდეგ კიდევ იხმარებოდა პაპირუსი. პაპირუსზე ქართული ნაწერი მოიპოვება მერვე საუკუნეშიც. მართალია, ბოლოს პერგამენტმა სრულებით განდევნა პაპირუსი, მაგრამ ის მაინც ისევ ძვირი იყო და გაიფუდა მხოლოდ მე-XV საუკ., როცა ქალაქი შემოვიდა.

ქალაქი გამოიგონეს პირველ საუკუნეში ქრ. დაბ. შემდეგ. პირველად აკეთებდნენ ბამბისაგან, შემდეგ კინკრისაგან. ქალაქის კეთება პირველად ჩინელებმა მოიგონეს, აქედან გადაიტანეს იაპონიაში და შემდეგ არაბებმა, რომლებმაც სახელოსნოებიც გამართეს სირიაში, პალესტინაში, სამხრეთ აფრიკაში, სიცილიაში და იტალიაში. ამ უკანასკნელებმა ქალაქის ხმარება გადაიტანეს ისპანიაში. დასავლეთ ევროპაში კი მე-XIV საუკ. გავრცელდა. გერმანიაში ქალაქის კეთება დაიწყო 1190 წ., საფრანგეთში—1250 წ., იტალიაში—1275 წ.

<sup>1)</sup> პერგამენტზე და ქალაქზე სწვრდნენ კალმით, ხოლო შემდეგში ფრინველების ფრთით. ფოლადის ქალამი იხმარებოდა მე-XIV საუკუნიდან. ფანქარი ე. ი. ტყვიის ჩხირი ხის ტარით ხმარებაში იყო მე-XV საუკუნის დასაწყისში. მელანი მზადდებოდა სხვადასხვა ბალახისაგან და მურისაგან.




ჩინელები ქალაღს ბამბისაგან აკეთებდნენ. ქალაღდის ამგვარი კეთება სხვა ერებმაც ისწავლეს, მაგრამ რადგან ბამბა ყველგან არ მოდიოდა, ამიტომ ზოგიერთ ქვეყნებში კანაფისა ღ სელის ნაძენძისაგან დაუწყეს კეთება. განვლო ხანმა და ქალაღდის მოთხოვნილებამ იმატა. კანაფისა და სელისაგან გაკეთება ერთობ ძვირი ჯღებოდა, ამისათვის აღმოაჩინეს ახალი მასალა. ასუფთავებდნენ ხოლმე ძონძებს ყოველი ქუჭკისაგან, დასკრიღნენ წვრილად, დაალბობდნენ წყალში და შემდეგ ზელავდენ ფაფის მსგავსად. ამას გასწურავდნენ საცერში და შემდეგ დააკრავდენ თხელ ტილოზე, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა მორგვების შემწეობით; რომ წერის დროს მეღანმა არ გაატანოს ქალაღდს, მას უმატებდნენ. ერთგვარ წებოს, რის შემდეგაც აწყობდნენ ოზმებად. ეხლა ქალაღდს ამზადებენ განვითარებული ტექნიკის საშუალებით \*).

ძველს დროში საწერი მასალის სიძვირემ ადამიანს აფიქრებინა ყოველდღიური საქიროებისათვის მოენახა ისეთი მასალა დასაწერად, რასაც დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო იაფი და ადკილად საშოვარი იქნებოდა. ასე იყო, მაგალითად, რომში, სადაც წერისათვის ხმარობდენ სანთელ წასმულ ფირფიტებს. წერის იარაღად ხმარობდენ პატარა ჯოხს, რომელსაც ერთი ბოლო წვეტიანი ჰქონდა, ხოლო მეორე გაბრტყელებული. წვეტიანის ბოლოთი ამ ფირფიტაზე იხაზებოდა, რაც დასაწერი იყო, ხოლო მეორე ბოლოთი დაწერილი იშლებოდა და სანთელ-წასმული ფირფიტა სწორდებოდა. (იხ. სურ. 6) ამისთანა ფირფიტებს ხმარობდნენ რომაელები საშინაოდ, რისამე ჩასაწერად, ანგარიშისათვის, ერთმანეთთან მისაწერ-მოსაწერად. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ბექს, რომელზედაც მეღნით სწერდნენ, რასაც დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო როცა საქირო აღარ იყო დაწერილი, გადარეცხავდნენ წყლით და სხვას დასწერდნენ.

წერაც სულ სხვა და სხვა გვარი იყო. ზოგან იწყობდნენ მარცხენა ხელიღინ, და ერთ სტრიქონს. რომ გაათავებდნენ, მეორე სტრიქონს გამოაყოლებდნენ მარჯვენა ხელიღან, შემდეგ მესამე სტრიქონს ისევ მარცხენა ხელიღან და ამნაირად ბოლომდე. ზოგან იწ-

\* ) მე-XV საუკ. იწყეს საქართველოში ქალაღდის შემოტანა: რუმინიღან, იტალიიღან, ინდოეთიღან, ოსმალეთიღან და ამსტერდამიღან. ხოლო მე-XVIII საუკ. დასაწყისიღან რუსეთიღან შემოიტანეს. სპარსელებს ქალაღდის კეთება ინდოელებისაგან შეუსწავლიათ, ხოლო ინდოელებს ინგლისელებისაგან. რუსეთში ქალაღდის ხმარება მე-XIV საუკ. გერმანელებმა შემოიტანეს; მე-XV—XVI საუკ. საფრანგეთიღან შემოჰქონდათ.




ყებდნენ წერას მარჯვენა ხელიდან და პირველი სტრიქონის გათავების შემდეგ მეორე სტრიქონს მარცხნიდან წამოიწყებენ. ზოგჯერ ზევიდან ქვევით სწერდნენ, როგორც, მაგალითად, დღესაცა სწერენ ჩინეთში. დანარჩენს განვითარებულს ერებში დღესაც ორნაირად სწერენ. ან მარცხნიდან მარჯვნივ ყოველ სტრიქონს ცალ-ცალკე, როგორც ევროპაში და ჩვენში, ან მარჯვნიდან მარცხნივ, ყოველს სტრიქონს ცალკე, როგორც სპარსეთში, ოსმალეთში, არაბეთში და სხვა მაჰმადიანთა ქვეყნებში.

საწერი მასალის გარდა წერა-კითხვის გაერცელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წიგნების დამზადებას. რაც უფრო სწრაფად, იაფად და ადვილათ მოხერხდება წიგნის დამზადება, მით უფრო ადვილი იყო წერა-კითხვის გაერცელება. მე-XV საუკუნემდე წერა სწარმოებდა ხელით. ჯერ მკრელის იარაღის საშუალებით მაგარს ნივთებზე სკრიდნენ, შემდეგ, როდესაც პაპირუსი, ეტრატი და ქალაღი გაჩნდა, შესამჩევად გაადვილდა წერა, რადგანაც მათზე წერისათვის არ არის იმდენი ძალ-ღონის ხმარება, თუმცა ისიც დამალაღია. შრომა დიდი უნდებოდა ხსენებულს მასალაზე წერასა და ამიტომ ნაწერი ძვირად იყიდებოდა.

იმ ადგილებში, სადაც დიდი მოთხოვნილება იყო წიგნებისა, მაგალითად, რომში, ამნაირად იყო მოწყობილი წიგნების დამზადების საქმე: წიგნის მალაზიის პატრონი, რომელიც იძენდა ვისსამე თხზულებას, ქირაობდა იმდენს გადამწერავს, რამდენი წიგნიც უნდოდა; ერთი უკარნახებდა და სხვები სწერდნენ ერთსა და იმავე დროს, ასე რომ რამდენიმე საათისა თუ დღის შემდეგ წიგნის მალაზიის პატრონს გასასყიდად მზადა ჰქონდა, რამდენი წიგნიც უნდოდა.

ქრისტიანობის დამყარების შემდეგ წიგნის გადაწერას მისდევდნენ აგრედვე მონასტრებში, სადაც ბერები ღვთის სიყვარულით და თავიანთის სულის საცხონებლად სწერდნენ დედნიდან ახალს პირებს.\*) მწერალი ერთ წიგნს, რომ გადასწერდა, ახლა მეორე წიგნის

\*1) მეხუთე საუკუნეიდან ბერები სთარგმინდნენ, გადაწერაზე და წიგნებათ შეკრახზე მუშაობდნენ და მწიგნობრობას აერცელებდნენ მთელს საქართველოში. ამ მხრივ თვალსაჩინო მუშაობა მიუძღვით ბასილი დიდს, იოანე ღვთის-მეტყველს კირილე იერუსალიმელს, გრიგოლ ნეკრესელს, ევსევი პამფილის და სხვ. ქართველი ბერები საქართველოს გარედაც აფუძნებდნენ მონასტრებს და იქ მუშაობდნენ ქართული წიგნების გადათარგმნაზე და გადაწერაზე. ღირს შესანიშნავი მრავალის ნაწერებით ათონისა, იერუსალიმისა, სინას მთისა და შაჟი მთის (ანტიოქიის) მონასტრები. ივერიის მონასტრის, რომელიც 982 წელს ააშენეს იონემ და თორნიკემ ექთიმემ დიდი ღვაწლი დასდეს. მან დასტოვა თავისი ნაშრომი 62 თხზულება. აგრედვე საუკეთესო მთარგმნელად და შემსწორებლად ითვლებოდა გიორგი მთაწმინდელი ამ მამათა შრომამ გაამდიდრა ქართული მწერლობა და ამით საქართველო დაუკავშირა ევროპის განათლებულ ხალხს.



გადაწერას შეუდგებოდა. მონასტრებში იწერებოდა უმათავრესად სასულიერო შინაარსის წიგნები. აგრედვე ისტორიულნიც. ხოლო საერო წიგნები იწერებოდა ძველებურად კერძო პირთაგან მეფეთა ან დიდ კაცთა მინდობილებით.

წიგნებს უფრო აძვირებდა ის უშველებელი შრომა, რომ სათაურის ასოებს ჰხატავდნენ მეტის-მეტად ხელოვნებით, წიგნის გვერდებს მოხატულს არშიებს უკეთებდნენ და ხშირად ასურათებდნენ თვით ტექსტსაც. ხმარობდნენ ჩვეულებრივ ორგვარს მელანს: შავსა და წითელს.

ზოგიერთი წიგნის თითქმის ყველა გვერდი შემკობილი იყო მშვენიერის ნახატებით, რომელიც გარშემო ჰქონდა შემოვლებული ყვავილებისა, ფრინველებისა და სხვა. ამას გარდა, ზოგიერთი წიგნის დასაწყისში ყველა თავი შემკობილი იყო მინიატიურებით. ხშირად კი უბრალოდა და სადად დაწერილი და წერილი ასოებით მიტყაპნილი იყო ხოლმე ერთმანეთზე, რომ ნაწერს უფრო პატარა ადგილი დაეჭირა.

გადამწერს დიდი ყურადღება და საფრთხილე ჰმართებდა, რომ შეცდომა არ მოსვლოდა. ერთი ასოს ნაცვლად მეორე არ დაეწერა, სიტყვა არ გამოაჩენოდა, ან არ გადამხტარიყო. ამისთანა სიფრთხილისა და ყურადღების მიუხედავად შეცდომები მაინც იპარებოდა გადაწერის დროს და ამგვარად დროთა განმავლობაში წიგნი შეცდომებით ივსებოდა სხვა და სხვა გადამწერათა წყალობით. ბოლოს, როდესაც შენიშნავდნენ, რომ წიგნი მეტად გარყვნილი იყო, ზოგიერთი გადამწერავეები ნებას აძლევდნენ თავის თავს, გაესწორებიათ შენიშნული შეცდომები, მაგრამ ხშირად ისინიც გასწორების მაგიერ ამახინჯებდნენ წიგნს იმით, რომ მართალს ადგილს ბრუნდეთ ასწორებდნენ. აი, ამ გარემოების ბრალია, რომ ძველის მწერლობის ნაშთებში დღეს ისე ბევრი შეცდომები და დამახინჯებული ადგილები მოიპოვება, რომ ეხლანდელს მკვნიერებსაც კი უჭირდებათ ნამდვილის აღდგენა.

ამნაირად ძველი წიგნები არამც თუ ძვირდებოდა, არამედ ხშირად შეცდომებითაც სავსე იყო, ისეთის შეცდომით, რომელთა გასწორება ვერც გადამწერს შეეძლო, ვერც მკითხველს.


ამ დიდ ნაკლს სამუდამოდ ბოლო მოუღო იოჰანე გუტენბერგმა. ბექდევითი ხელოვნების მამათმთავარი გერმანელი იყო. თუმცა მისი დაბადების წელიწადი დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ ზოგიერთნი კი აღნიშნავენ ვითომც იგი 1396 წ. ჯალ. მაინცში დაბადებულიყო, ზოგნი კი 1398 და 1400 წლებს მიაწერენ. ასე რომ გუ-



ტენბერგის შესახებ ყმაწვილობის დროინდელი არაეითარი ნამდვილი ცნობა არ მოიპოვება.


წიგნის ბექდვის გამოგონების ნამდვილ ხანად უნდა ჩაითვალოს 1440 წელიწადი. რადგან გუტენბერგის მშობლები მაინცა და მაინც არ იყვნენ შემძლებელნი, მამის სიკვდილის შემდეგ, თითონ ხომ მთლად გალატაკებული დარჩა. სწორედ ამ სიღარიბის დროს, აზრად მოუვიდა საბეჭდი ასოებისა და დაზვის გამოგონება. განოიგონა კიდევ, მაგრამ უფულობისა გამო, ვერ შესძლო განეხორციელებინა და სისრულეში მოეყვანა თავისი აზრი.

სურ. 3



ჩრდილო-ამერიკის ვულუბთა თამასკიდი ან ქვათაბა. აქ აღწანილია, რომ წაყის 30 ცყაჟი გადგელაულია 1 შაჭონჭე. 1 ცსჯატჭე და 1 წაჯჭე. თთავი. ბიზვილიც დაბიზნჭეული აქვს წაჯს. შინწაჯს მთვლულ წაჯს, ან წაყის ცყაჯს. ჟჯაბი ჰი შუაჯე აბის გადგელის ნიშანა.

გუტენბერგი სამშობლოში, ქ. მაინცში, დაბრუნების შემდეგ 1450 წ. შეუამხანაგდა ერთ შეძლებულ ოქრომჭედელს, იოჰანე ფუსტს. პირობა ისეთი იყო, რომ ფუსტისა ფული უნდა ყოფილიყო, ხოლო გუტენბერგისა შრომა და გარჯილობა; მოგება კი ორთავეს თანასწორად უნდა გაეყოთ. გუტენბერგი პირველად ხის ასოების კეთებას შეუდგა. რადგან ამ ხელობისა სხვამ არაეინ იცოდა-რა და ვერც ვერაეინ დაეხმარებოდა მუშაობაში, ამიტომ მეტის-მეტი ჯაფა თითონ დააწვა.



გუტენბერგის მიერ მოწყობილ სტამბაში 1451 წ. პირველად პაპის ინდულგენციები<sup>9)</sup> და ელიუს დონატუსის ლათინური ღრამატიკა დაიბეჭდა<sup>10)</sup> შემდეგში კიდევ ორი დაბადება. პირველი დაბადება, რომელიც ორ ტომათ იყო, დამთავრდა 1456 წ. 24 აგვისტოს. თითოული გვერდი 42 სტრიქონისაგან შესდგებოდა და ამიტომაც „ორმოცდა-ორ სტრიქონიან დაბადება“ ეწოდება. მეორე 36 სტრიქონიანი იყო. 42 სტრიქონიან დაბადებას უწოდებდნენ მაზარინისას, კარდინალ მაზარინის წიგნთ-საცავში აღმოაჩინეს. ამ დაბადების ბეჭდვა დაიწყო გუტენბერგმა და ფუსტმა, ხოლო დაამთავრა პეტრე შეფერმა და ფუსტმა. 36 სტრიქონიანი დაბადება უფრო გვიან აღმოჩენილა, ვიდრე პირველი. გუტენბერგს სტამბის საქმე კარგათ ვერ წაუვიდა: პირობის ძალით, ვალი ვერ გადაიხადა თავის დროზე და ამ უკანასკნელმაც სასამართლოს მიჰმართა. ბოლოს ის შედეგი მოჰყვა, რომ მოწყობილ სტამბაზე გუტენბერგს სრულიად ხელები დააბანინა და თითონ დაისაკუთრა.

1460 წ. გუტენბერგმა ხელახლად მოაწყო სტამბა და შეუდგა „კათალიკონი“-ს (ლათინური ღრამატიკა, სიტყვების ახსნით) ბეჭდვას. 1465 წ. ადოლფ ნასაუცმა გუტენბერგი დანიშნა სასახლის გამგედ. როდის გარდაიცვალა ბეჭდვითი ხელოვნების გამომგონი და მამათმთავარი იოჰანე გუტენბერგი, დანამდვილებით არც ეს არის გამოკვლეული. ზოგი მიაწერს 1467 წლის ნოემბერს და ზოგიც კიდევ 1468 წ. თებერვალს. დაკრძალულია ქ. მაინცში. არც საფლავი იციან დანამდვილებით, რა ადგილას მდებარეობს.

გუტენბერგის შემდეგ პირველი ადგილი ბეჭდვითი საქმეში მის შეგირდს, პეტრე შეფერს უჭირავს, რომელმაც გააუმჯობეს-გაალამაზა ასოების მოყვანილობა და გააკეთა მრავალგვარი ყალიბები. დანამდვილებით არც ამის დაბადებისა ზე გარდაცვალების ხანაა აღნიშნული. გუტენბერგი რომ ჩამოიშორეს ფუსტმა და შეფერმა, თითონ შეამხანაგდნენ და ერთად შეუდგნენ ბეჭდვითი საქმეს. მაშინ, სხვათა


<sup>9)</sup> შენდობის ქალაქი, ცოდვათა მიტევება ანუ გამოსყიდვა ფულით. რომის პაპების მიერ შემოღებული მოწოდებები, რომელთა სიტყვით მყიდველს ვითომც ცოდვები ეპატიებოდა. ამით დიდი შემოსავალი ჰქონდა რომის პაპების სასახლეს. ამნაირი გამოსყიდვა, განსაკუთრებით მაშინ ვრცელდებოდა, როდესაც პაპს სახარჯოთ ფული შემოაქლდებოდა ხოლმე.

<sup>10)</sup> 1901 წელს იპოვეს გუტენბერგის მიერ დაბეჭდილი 1448 წლის კალენდრის ფურცელი. ცხადია ეს კალენდარი დაბეჭდილია 447 წელს. ამტკიცებენ აგრეთვე, რომ ე. დონატუსის გრამატიკა უბეჭდია გუტენბერგს 1445 წელსაც.



**იოჰანე გუბინეაგაი**

შორის, დაბეკდეს ფსალმუნნი. 1463 წ. როდესაც ადოლფ ნასაუელმა  
 ომი დაიწყო, არეულობისა და ქ. მაინცის დაწვის დროს, მათი სტამ-  
 ბაც განადგურდა. იმ დროს, ყველა იქ მომუშავე ხელოსნები გაიქცე-  
 ნენ. არ განვლო ორმა წელიწადმა, რომ მათ ხელახლა შეიძინეს სტამ-  
 ბის იარაღი და ისევ მოაწყეს ლამაზათ სტამბა. იოჰანე ფუსტიც ჩქარა  
 გარდაიცვალა. მალად სტამბა და სამუშაო მარტო შეფერს დარჩა.  
 შეფერი ერთსა და იმავე დროს მესტამბეც იყო და წიგნების მოვაჭ-  
 რეც. არც ამის გარდაცვალების ქორონიკონია აღნიშნული. ის კია,  
 რომ მის უკანასკნელ გამოცემულს წიგნზე 1502 წ. 21 დეკემბერი  
 არის აღნიშნული.



ქ. მაინცის განადგურებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ბექდ-  
ვითი ხელოვნებას. იქ მომხდარ ბრძოლისაგან შეშინებული სტამბის  
ხელოსნები გაიფანტენ სხვადასხვა ქალაქებში და თავიანთი ხელობა,  
ბექდვითი საიდუმლოება, იქ გაავრცელეს.


გუტენბერგის მიერ გამოგონილმა სტამბის იარაღმა კაცობრიო-  
ბას ბევრად გაუადვილა წიგნების ბექდვა. ხელით წერა ერთობ ძვირი  
ჯდებოდა და დიდ დროსაც თხოვლობდა. ამიტომ წიგნები იმ დროს  
მხოლოდ რჩეულთათვის იყო ხელმისაწვდომი, მწიგნობრობა მაღალი  
წრეების კუთვნილებად იყო შექმნილი. დაბალი ხალხი კი იმ დროს  
სრულს უმეცრებაში იმყოფებოდა.

გუტენბერგის გამოგონილს წიგნების ბექდვას კი სრულიად აღარ  
ეჭირვება გადამწერაენი, რომელნიც ძველად დიდად სარგებლობდნენ,  
განსაკუთრებით ვინც კი ღნმაზი ხელით წერა იცოდა — ამისი ადგი-  
ლი ეხლა სტამბამა და ასოთ-ამწყობმა დაიჭირა. სტამბაში დაბექდი-  
ლით ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ სწორედ ის, როგორსაც ხელით და-  
წერილს დედანს ვუჩვენებთ. ამას გარდა დაიბექდება სწრაფად და  
სუფთად; ასე რომ რამდენიმე ათიათას ცალს, სულ არ დასჭირდება  
6 — 7 საათის დრო, რომ სრულიად დამზადდეს ერთი და იგივე წიგნი,  
ან გაზეთი.

მწიგნობრობით წინად თუ მარტო მდიდრები სარგებლობდნენ,  
მსწრაფლ-მბექდავი მანქანების წყალობით, ისე გაიფანტა; რომ ლარიბ-  
თა ხვედრათაც გარდაიქცა. ბექდვითი საშუალებით ყოველი ლატაკის  
ქობშიაც კი შეაშუქა განათლების სხივმა. ბექდვითი ხელოვნების მა-  
მათმთავარმა იოჰანე გუტენბერგმა კარი გაუღო ხალხის გათვითცნო-  
ბიერებას.

დასავლეთ ევროპაში, საბექდი იარაღების გამოგონებამდე, ხე-  
ლით ნაწერს წიგნებში ყველგან „გუთურ“ (კუთხებიან-მწვეტებიანი)  
ასოებსა ხმარობდნენ. გუტენბერგმაც თავის სტამბაში ამგვარი ყალი-  
ბები გააკეთა. რომ კარგად შეეადაროთ, თითქმის არავითარი განსხვა-  
ება არ არის მაშინდელს ხელთნაწერსა და დაბექდილს ასოებს შორის.

პირველი სტამბა იტალიაში 1464 წელს გახსნა სვეინგეიმმა და  
პანარცისმა. მათ ჩამოასხეს რომაული ასოები და ამით დაბექდეს  
ლაკტანცოს თხზულება. სვეინგეიმისა და პანარცისის შემოღებული  
ასოების ხმარება ისე გავრცელდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ვე-  
ნეციელმა მესტამბემ, ფრანგმა იენსენმა უფრო შეაკეთა-შეალამაზა ეს  
ასოები და ყველასათვის საადვილო სახმარად გადააქცია, რასაც სა-  
ხელად „ანტიკვას“ ეძახიან; ამგვარსავე მოყვანილობის ასოებს ფრან-  
გები „romain“-ს უწოდებდნენ, ხოლო რუსები „ლათინურს“. „გო-



თური“ და „ლათინური“ მოყვანილობის ასოები საზოგადოდ, ყველგან არის გავრცელებული. ამ ჟამად გერმანიაში „გოთურ“ ასოებს უფრო ხმარობენ, ხოლო მთელ ევროპაში — „ლათინურს“.

წაწევილი (კურსივი) ასოები გამოიგონა ვენეციელმა მესტამბემ, ადოლფ მანუციუსმა. პირველი წიგნი ამ ასოებით დაიბეჭდა 1501 წელს ქ. ვირგილიაში.


რადგან პირველ ხანებში ასოები მეტად მსხვილი იყო, წიგნები მთლად ულამაზოდ იბეჭდებოდა. შემდეგ რაც მეტი ხანი გადიოდა, თანდათან ამას ყურადღებას აქცევდნენ სხვადასხვა მესტამბეები და რაც შეიძლებოდა აპატარაებდნენ ხოლმე. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ „ნონპარელის“ ზომამდე დადგა. ასოების დაპატარაება უფრო იმან გამოიწვია, რომ გამოცემებში მეტი მასალა ჩატეულიყო და ქალღივი ერთობ ნაკლები დახარჯულიყო, რაც ბევრად ხელმისაწვდენი იქნებოდა სიიაფის მხრით.

პირველი სტამბა ვენეციაში დააარსა იოჰანე დე-სპირმა 1469 წ., საფრანგეთში (პარიზში) ულრიხ გერინგმა 1470 წ., ოცდა-ათი წლის შემდეგ პარიზში უკვე 66 სტამბა ამუშავდა, ჰოლანდიაში დირიემარტენსინმა 1473 წ., ინგლისში ვილიამ კეკსტონმა 1474 წ., შვეიცარიაში 1468 წ., ნიდერლანდიაში 1473 წ., ისპანიაში და პორტუგალიაში 1474 წ., შვეციაში 1483 წ., დანიაში 1490 წ., ოსმალეთში 1490 წ., რუსეთში 1563 წ.

დღეს სულ სხვაგვარს სტამბასა ვხედავთ. დღევანდელს მოწყობილს სტამბებში იბეჭდება წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ცხრილები, ბლანკები, სურათები და მრავალი წერილობანი საქმეები. აქ დაწერილობით ყველას აღნუსხვა შეუძლებელია, რადგან რასაც სტამბა კომპოზირებას აწვდის, მრავალის ჯურისაა.

სტამბა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად არის მოწყობილი, მაგრამ არსებითად ყველა განყოფილება და ნაწილები ერთი და იგივეა. განიყოფება ამ გვარად: 1) კანტორა, სადაც იკვეთავენ ყოველ დასაბეჭდავ საქმეებს; 2) ასაწყობი განყოფილება, რომელშიაც მოთავსებული არიან ასოთ-ამწყობნი და სწარმოებს ასოების აწყობის საქმე. იქავე მოთავსებულია საბეჭდავი დაზგა, რომელიც იხმარება პირველი ამონაბეჭდისათვის შეცდომების გასასწორებლად; 3) საბეჭდ განყოფილებაში მოთავსებულია საბეჭდი მანქანები, რომელზედაც ასოთ-ამწყობის ნამუშევარი იბეჭდება; 4) ორთქლისა, ანუ ელექტრონული მანქანების განყოფილება, საიდანაც მოძრაობაში მოჰყავთ საბეჭდავი და სხვა მანქანები. \*)


\*) ზოგიერთ სტამბაში, დღესაც კიდევ ხელით აბრუნებენ საბეჭდავ მანქანებს.



ძველად მთლად სტამბას მუშების მთავარი ხელმძღვანელი განაგებდა, ეხლა კი ყველგან ამისათვის განსაკუთრებული პირია დაყენებული, რომელსაც შესაძლებელია ამ ხელობასთან სულ მცირე კავშირი ჰქონდეს. მუშაობენ შემდეგი დარგის ხელოსნები: ასოთ-ამწყობნი, მბეჭდაენი, მანქანაზე ქალაღდის დამწყობი, დამთვლეღი, აწყობიღის გაღამტან-გადმომტანი და სხვ. სტამბაში უმთავრეს ძალათ ითვლება ასოთ-ამწყობი. იგი ყოვეღ თითო ასოსაგან ადგენს სიტყუებს და შემდეგ მთელს წიგნს. კაბადონთ-შემღგენელი (метранпаж) ხელმძღვანეღობს ასოთ-ამწყობს და ცალ-ცალკე აწყობიღს წიგნი იქნება იგი, თუ გაზეთი გაღასცემს დაზეგაზე მბეჭდაეს. უკანასკნელიც ერთ ამონაბეჭდს ფურცელს შეცღომების გასასწორებღად გაღასცემს გამომცემელს, ან ამისათვის დანიშნულს განსაკუთრებულს პირს. ყვეღა ამეების მომზადების შემდეგ გაღაცება საბეჭდავ განყოფიღებაში. იქაც მბეჭდავ-მემანქანე გამართავს მანქანაზე, შემდეგ მიუჩენს დამწყობს და სწარმოებს ბეჭღვა. ბეჭღვის გათავების შემდეგ აწყობიღს გაღმოიღებენ მანქანიღდან ამისათვის დაყენებული განსაკუთრებული კაცები, გარეცხავენ, სურათების კღიშეებს გაასუფთავენენ და ასოებს ხელახღა უკანვე დაუბრუნენენ ასოთ-ამწყობს დასაშღლეღად.


ასეთიღ დღევანღელი სტამბის სახე, რომღის განვითარებაც ტუბნიკის მხრივ თანღათან წინ მიღის.





## II

### ქართული სხამების დაარსება.




ოჰანე გუტენბერგის მიერ გამოგონილი სტამბის ამბავი მთელ ქვეყნიერებას მოეფინა. წიგნების ბეჭდვით ყველა გაოცებული დარჩა. ამ ამბავმა საქართველომდეც მოაღწია და არა ნაკლები აღტაცება გამოიწვია ქართველებშიაც, რადგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ბოლო მოღებოდა ხელით დაწერილი წიგნების გავრცელებას. ქართველებს სტამბის გახსნის ნატვრა აღეძრად, მაგრამ ზოგიერთი ვარემოება ხელს უშლიდათ. როდესაც ეს დიდებული საქმე ევროპაში ფეხს იკიდებდა, მაშინ საქართველოს შავ-ბნელი დღეები ედგა. იმ დროს ესეოდა გარავშე მტერი და საქართველოში ნაწარდობდა. საუბედუროდ შინაც იჩინათავი ამბოხებამ.

მიუხედავათ იმისა, რომ დიდი მიზეზები ელობებოდა წინ, ქართველობა სხვებს არ ჩამორჩა სტამბის დაარსებაში. დიდი ხანი არ არის გავლილი სხვებისა და ქართველების დაარსებულ სტამბებს შორის. გუტენბერგმა ევროპაში 1450 წ. გახსნა პირველი სტამბა. რუსებმა მოსკოვში 1553 წ., სომხებმა 1612 წ. გახსნეს ვენეციაში,<sup>11)</sup> ხოლო პირველი ქართული სტამბა ქართველმა პატარებმა რომში გახსნეს 1625 წ.<sup>12)</sup> (ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოვება. გვაქვს მხოლოდ 1629 წ. იქ დაბეჭდილი წიგნი. პ. კ.)

11) 1612 წ. ვენეციაში პირველად დაიბეჭდა საეკლესიო კალენდარი: 1666 წ. ამსტერდამში სომხურად პირველად დაიბეჭდა დაბადება; 1794 წელს მადრასში (ინდოეთში) მელ. არუთინ შმოვანიანის რედაქტორობით გამოვიდა პირველი გაზეთი "ახდარარი".

12) პირველი წიგნი რუსულს ენაზე მოსკოვში 1564 წ. 1 მარტს იოანე მე-IV მეფობის დროს დაიბეჭდა, 1703 წ. 16 დეკემბერს პირველი გაზეთი გამოიცა; საფრანგეთში ლიუდოვიკო მე-XIII ნებართვით 1631 წელს გამოიცა პირველი ფრანგული გაზეთი; 1643 წ. ინგლისში გამოიცა პირველად დასურათებული გაზეთი; ხოლო 1660 წ. ლეიპციგში პირველად დაიბეჭდა ყოველდღიური გაზეთი გერმანულ ენაზე. 1690 წ. გამოვიდა ამერიკული გაზეთი და 1702 წ. ლონდონში გამოვიდა



როგორცა სჩანს, ქართული სტამბის დაარსების საჭიროება მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგსვე ყოფილა გამოთქმული. ეს განზრახვა ქართველ პატრებს საქართველოში უცნობებიან და ამით ყველა ნასიამოვნები დარჩენილა. რომის პატრებს მიწერ-მოწერაც კი გაუმართავთ პაპთან: მას სთხოვდნენ, რომში ქართული სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვის ნებართვას.

რომის უმაღლესი სამღვდელთა ადვილად დაიყოლიეს ქართული სტამბის გახსნაზე და მცირე ხნის შემდეგ კიდევ გადაწყდა ქართული სტამბის დაარსება. ამის ყოველივე ხარჯი იკისრა პაპის სამმართველომ. ამ საქმეს ხელს უწყობდნენ პატრი მარიოს მაჯიო, სტეფანე პაოლინი და ნიკიფორე ირბახი.

1625 წ. კიდევ გამოცხადდა, „სარწმუნოების გამავრცელებელი ძმობის“ თაოსნობით და პაპის მფარველობით, რომში ქართულ სტამბას აარსებნო. ამაზე ზემოხსენებული პატრები გაიწვიეს რომში და მათ მიანდეს სტამბის მოწყობა და ზედამხედველობა. ამ წელს სტამბა უკვე ამუშავდა და პირველად ქართული „ლოცვანი“ დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკეთათვის სახმარებლად. 1800 წლამდე რომში ქართული წიგნები შეუწყვეტილ იბეჭდებოდა.

ზოგიერთი ცნობებით, ვითომც პირველი ქართული სტამბა 1709 წელს გახსნილიყოს, ნამდვილი არ არის. თუ გვინდა, რომ სისწორით აღინიშნოს, პირველი ქართული სტამბა 1625 წ. რომში გაიხსნა, როდესაც პაპი ურბანოს მე-VIII საქართველოს მფარველი გახდა, როდესაც საქართველოში კათოლიკე მქადაგებლები გამოგზავნა. მაშასადამე. აქედანვე უნდა იწყებოდეს პირველი ქართული სტამბის არსებობაც.

1629 წ. რომის სტამბაში დაიბეჭდა პაოლინის<sup>12)</sup> „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ ნიკიფორე ირბახის<sup>13)</sup> დახმარებით შედგენილი. ამას მოჰყვა მაჯიოს მიერ (მისიონერი და წიგნების მბეჭდავი) დაწე-

პირველი ინგლისური ყოველდღიური გაზეთი. 1517 წ. პირველად რუსულ ენაზე ქპრაგაში (ჩეხიაში) გამოიცა „ფსალმუნი“, 1525 წ. იქვე გამოიცა „დაბადება“. პირველი სტამბა პეტროგრადში გაიხსნა 1711 წ.

<sup>12)</sup> სწავლული მისიონერი; რომში სტამბის დაარსებაში მონაწილეობი მიიღო. როგორც მწიგნობარი, აგრეთვე ამწყობ-მბეჭდავიც იყო.

<sup>13)</sup> ქართველი, გვარად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომელიც ქართველ მეფეთაგან დესპანად იყო: ისპანიაში, რომში, საფრანგეთში, ინგლისში, ავსტრიაში და სხვ. დიდი მცოდნე იყო ევროპიული ენებისა. რომში ყოფნის დროს დაუკავშირდა კათოლიკე ბერებს და 1619 წ. კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღო. ამანაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო სტამბის დაარსებაში. ამწყობიც იყო და მბეჭდავიც (ირბახის ვინაობა არ არის ჯერ სავსებით გამორკვეული. პ. კ.)




რილი ქართული ღრანატიკა, ერთი გამოცემა 1643 წ., მეორედ 1670 წელს. პატრმა ტულუკანთ დავითამ 1733 წ. გამოსცა „დოქტორინა ქრისტიანა“ (საქრისტიანო მოძღვრება), ესეც ქართველ კათოლიკეთათვის სახმარებელი. 1793 წ. ეს წიგნი მეორედ იქმნა გამოცემული და 1800 წ. მესამედ.

რომში ქართული სტამბის გახსნისა და წიგნების ბეჭდვის ამბავი მალე საქართველოშიც შეიტყვეს. ქართველებს ჯერ დაბეჭდილი წიგნი თვალთ არ ენახათ, ხოლო გაგონილი კი ჰქონდათ და ესეც გამართლდა. პატრებმა დაბეჭდილი წიგნები საქართველოში შემოიტანეს და ყველა კუთხეში მოჰფინეს. ვინც კი ნახა, ყველა გაოცებული დარჩა.

რომის პატრების ასეთმა მოქმედებამ ქართველი სამღვდლოეზაც გაამხნევა. მე-XVII საუკუნის დამლევს ვლახიაში მოღვაწეობდა ქართველი მღვდელ-მთავარი ანთიმოზ ივერიელი, რომელიც 1705 წ. დაინიშნა რიმინსკის არქიელად და 1709 წ. ვლახეთის ეპისკოპოსად. ამ ქართველმა ეპისკოპოსმა საფუძვლიანად იცოდა: რუმინული, ბერძნული, სლავური, თურქული და არაბული ენები. მან სტამბა გახსნა რიმინსკში, ტარგოვნევი და სვეაგოვში (ბუქარესტის ახლოს). აგრედვე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ქართულს ენაზე წიგნების ბეჭდვისაც. მას დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში ქართული სტამბის დაარსებისა. ამისათვის საქართველოში მიწერ-მოწერა გაუმართავეს, რომ ტფილისში ქართული სტამბა დაეარსათო. ამაზე დათანხმებულან ქართველი მოწინავე პირები და უცნობებიათ: დიდათ სასიამოვნო იქნება, თუ კი ამას მოვახერხებთო. ამ სურვილის მეთაურად, უმთავრესად ვახტანგ მეფესა სთვლიან; თუმცა ზოგიერთი წყაროებიდანა სჩანს, რომ ზემოხსენებულს ეპისკოპოსსა და ვახტანგ მეფეზე ბევრად ადრე, სტამბის გახსნის თაობაზე, მიწერ-მოწერა არჩილ<sup>12)</sup> მეფესაც ჰქონია, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა მოსკოვში. მაგრამ ამას ხელი შეუშალა ზოგიერთმა გარემოებამ, რომ სისრულე-

<sup>12)</sup> არჩილ მეფე შვილი იყო ვახტანგ მეხუთისა. დაიბადა 1647 წ. იგი იყო ნიკიერი ისტორიკოსი. 1661 წ. ოსმალებმა განდევნეს და კახეთში (თელავში) ვადვიდა მამასთან. თელავში ააგო სასახლე, განაახლა კახეთის დაქვევლი ეკლესია და გააძლიერა ქრისტიანობა. 1678 წ. არჩილი იმერლებმა კვლავ მიიწვიეს მეფედ. მაგრამ ოსმალებმა ხელახლად განაძევეს. იგი წავიდა ქართლს და იწყო მისი დაპყრობა, ამაზე შეშინებული სპარსეთის ყენი ბრძანებას აძლევს არჩილის შესაპყრობად, მაგრამ იგი ცალშვილით მიდის რუსეთის ქალაქ ასტრახანში და იქ სამი წელიწადი დაჟყო. 1681 წ. არჩილი წავიდა მოსკოვში, მან რუსთა მეფისაჯან ნებართვა აიღო ქართული წიგნების ბეჭდვისა და საქართველოში გავრცელების შესახებ. გარდაიცვალა მოსკოვში 1713 წ.



ში მოეყვანა თავისი განზრახვანი. მას საქმეები ბევრნაირად აეწეწა დაეწეწა. არჩილ მეფის განზრახვა ვახტანგ მეფემ დააგვირგვინა<sup>16)</sup>).

ბერი მიწერ-მოწერის შემდეგ ზემოხსენებულ ეპისკოპოსს ვლახიაში ჩამოუსხმეინებია ქართული ასოების ნიმუშები და საქართველოში გამოუგზავნია. ასოები ქართველებს ძალიან მოსწონებიათ და ეპისკოპოსისათვის თანხმობის წერილი მიუწერიათ. აგრედვე დაავალეს, მხურვალე შრომა მიეღო და ყველა სასტამბო იარაღი და მცოდნე ოსტატები გამოგზავნა საქართველოში. ეპისკოპოსსაც სასიამოვნოდ დარჩენია ასეთი პასუხი და შეუსრულებია დავალება. შეიძინა სასტამბო ყველა იარაღი, ჩამოასხმეინა ქართული ასოები, იშოვნა ოსტატები და გამოგზავნა საქართველოში. ხელოსნები ერთი მბეჭდავი ყოფილა და სამი ასოთ-ამწყობი.

პირველი წიგნი, რომელიც ტფილისის სტამბაში 1709 წ. დაიბეჭდა იყო „სახარება“. ქართული „ფსალმუნი“ პირველად, 1705 წ. მოსკოვში დაიბეჭდა. პირველად ქართულ ენაზე „დაბადება“ გამოიცა 1743 წ. ბაქარის მოლვაწეობით. 1706 — 1713 წ.წ. დაიბეჭდა შემდეგი სასულიერო წიგნები: „კონდაკი“, „ხატიკი“, „ჟამნი“ „მცირე ლოცვანი“, „ტიბიკონი“, „კურთხეიანი“, „პარაკლიტონი“, „სადღესასწაულო“, „მარხვანი“ და სხვ. წერილი წიგნები, რომელიც ზოგი ხუცურისა და ზოგი მხედრულის ასოებითა ყოფილა დაბეჭდილი.

ტფილისის სტამბა მოაწყო ვლახელმა მიხეილ სტეფანეს ძემ. მან უსაქიროესი მასალა თან ჩამოიტანა. ზედამხედველად წიგნების ბეჭდვისა იყო ნიკოლოზ ორბელიანი.<sup>17)</sup> ამათ დროს, გარდა საეკლესიო

<sup>16)</sup> მეფე ვახტანგ მეექვსე დაიბადა 1675 წ. იყო შვილი ლეონ ბატონიშვილისა, რომელიც დიდხანს იყო სპარსეთში და ყვეთან დიდათ იყო დამსახურებული. ლეონის პირველი ცოლი გურიელის ქალი იყო. ამის საკვილის შემდეგ მეორე ცოლად ავალიშვილის ქალი შეირთო, რომლისაგანაც ეყოლა ვახტანგი. ვახტანგი პატარაობითვე ნიჭიერი იყო. თერთმეტი წლისა იქნებოდა, რომ მამამ სპარსეთში წაიყვანა და იქაურ სპარსთა სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, სადაც სპარსულსა. თურქულსა და არაბულს ენებს ასწავლიდნენ. ვახტანგი იქ რამდენიმე წელიწადს დარჩა. ამ ხანში იგი უკვე ზედმიწევნით განვითარდა და ქართული მწიგნობრობაც საკმაოდ შეიყვარა. 1703 წელს ვახტანგი საქართველოს მეფედ შეიქმნა და კარგად მართავდა სამეფო საქმეებს. აგრედვე სპარსეთიდან ეხმარებოდა მამა. ვახტანგს რომ მამა გარდაეცვალა, მას შემდეგ საქართველოს სამეფო საქმეები უფრო აიწეწა-დაიწეწა.

<sup>17)</sup> ნიკოლოზ ორბელიანი, ერისკაცობაში იყო მოსამართლეთ - უხუცესი და იმ დროს შესაფერად განათლებული კაცი. 1726 წლიდან მან მიიღო ხარისხი რუსულ ეპისკოპოსისა. წიგნების შესწორება ვახტანგ მეფემ მონაზნობაშივე მიანდო 1717 — 1708 წ. წ. და თითქმის განუწყვეტლივ მუშაობდა. დიდ თვალ-ყურს ადევნებდა სტამბის მოქმედებას. 1724 წლამდე, ვიდრე ეს სტამბა გაუქმდებოდა. რადგან ვახტანგი რუსეთს გადავიდა, ნიკოლოზიც თან გაჰყვა.

სიო წიგნებისა, 1712 წ. დაიბეჭდა ვახტანგ მეფის წინასიტყვაობით ჩუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

ვლახიდან საქართველოში მოსული მესტამბე მიხეილა უნგრელი თუო. ამ მესტამბესა და მის ამხანაგებს ქართველებისათვის შეუსწავლებლიათ ქართული ასოების ხატვა, ყალიბების გაკეთება, ასოების ჩამოსხმა. აწყობა, ბეჭედა, წამლების დამზადება და სხვა. აგრედვე ზედმიწევნით სკოდნით ორი ფერით წიგნების ბეჭედა. მიხეილ უნგრელი 1709 წ. სწერს: „ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან, ასონი, ორდანი, და ყოველნი სახმარონი დაწყებით სრულ ყოფამდე მოქმედი და წინამძღომელი მე ვარ უნდო მონა თქვენი“<sup>19)</sup>.

პირველი ქართული სტამბა ტფილისში 1708 წ. გაიხსნა მეფის სხასახლის ახლოს იოანე ნათლისმცემლის ტაძრის გვერდით, სადაც შემდეგ სინოდის კანტორა იყო, სტამბას ეჭირა ათი ოთახი<sup>20)</sup>.

რადგან ისეთი დიდი ღვაწლი დასდო მიხეილმა, როგორც არის სტამბის ოსტატობა და ბევრს ქართველსაც შეასწავლა ხელობა, ამისათვის მისი ასეთი უანგარო შრომა ქართველმა მეფეებმა დიდად დაათვასეს. 1710 წ. ვახტანგ მეფემ აზნაურიშვილის ხარისხით დააჯილდოვა. ამის შემდეგ იგი თავის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და საქართველოში გარდაიცვალა. მიხეილმა სტამბის ოსტატობაში გააწრთენა რომანოზ რახმაძე - ზუბაშვილი, მღ. დავით ჩუბინიძე, მღ. კვეყრაშვილი, გიორგი პაიჭაძე.

მიხეილ უნგრელ-ვლახელის შემდეგ მესტამბეებად იყვნენ შემდეგი ქართველნი: გიორგი მხატვარი 1709 — 1721 წ., კარის დეკანოზი მიქელ 1713 წ., მღ. გაბრიელი 1717 წ., ვახტანგ მეფის წასვლის შემდეგ სტამბას ხელს უწყობდა მისი ძმა სვიმონ, რომელმაც თავის ხარჯით დაბეჭდა მრავალი წიგნები 1713 — 1714 წ., მაგრამ როდესაც 1714 — 1716 წ. ქართლის გამგეთ ვახტანგის მეორე ძმა, თესე, დაინიშნა, სტამბა შეჩერდა.<sup>20)</sup> იესეს განდევნის შემდეგ : 1716 წ.

<sup>19)</sup> წინასიტყვაობა სახარებისა 1709 წ. გამოცემული.

<sup>20)</sup> Описание древностей г. Тифлиса П. Иселиани 1866 წ. გვ. 247.

<sup>20)</sup> სპარსელები რომ გაბატონდნენ ქართლში, მაშინვე განდევნეს ვახტანგის ძეგლი ბაქარიც და საქართველოს მეფედ იესე იქმნა აღარებული, კათალიკოს-პატრიარქის მამა, სარწმუნოებით მამადიანი. ამის მნახელმა დომენტი კათალიკოსმაც მოინდომა გამაჰმადიანება, მაგრამ გამკრიახმა პირებმა შეუშალეს ხელი. ვახტანგი ამაზე ძლიერ ემდურებოდა ხოლმე დომენტის. ვახტანგ მეფე რომ სპარსეთში იყო და იქ კათოლიკე ბერებს დაუახლოვდა. ამათთან დაახლოვებამ და ორგევა-დარიგებამ, ვახტანგს სურვილი აღუძრა, რომ საფრანგეთში გაეგზავნა დე-ქსანი და ეთხოვნა, რათა გაკვირების დროს დახმარებოდნენ და მაშინ საქართველოს კათოლიკოსი და მეფე ქართველობა მიიღებდა კათოლიკეთა სარწმუნო-

ვახტანგ მეფის ძის, ბაქარის, გამგეობის დროს სტამბამ ისევ იწყო მოქმედება.<sup>21)</sup>

რადგან 1713 წ. ვახტანგ მეფე სპარსეთს წაიყვანეს, ამიტომ ახლად დაწყებული სტამბის საქმე ძალიან შეფერხდა. ამის შემდეგ ამ სტამბაში იშვიათად იბეჭდებოდა წიგნები და ისიც სასულიერო შინაარსისა. 1713 წ. დაიბეჭდა „ჟამნი“, 1717 წ. „ლოცვანი“ და 1720 წ. „ჟურთხევა ეკლესიისა და ოდიკისა“. ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1721 წ. გამოიცა „კოსმოგრაფია“ სპარსულიდან თვით ვახტანგისავე ნათარგმნი. ეს წიგნი დაიბეჭდა მხედრულის ასოებით.

ვახტანგ მეფემ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საქართველოს ისტორიას. მან შეჰკრიბა საეკლესიო გურჯები, სხვა და სხვა საგვარეულო ცნობები და მრავალი საისტორიო მასალები ძველად დაწერილი ქართველთა მამათ, მეფეთა და ღვდელმთავართა ცხოვრებანი; ყველა ესენი შეაერთა და სახელად უწოდა „ქართლის ცხოვრება“. ერთი ასეთივე სახელწოდების საქართველოს ისტორია მე-VII საუკუნეში დაუწერია საქართველოს მთავარს ჯუანშენს. შემდეგ ეს ისტორია მე-X საუკუნეში სომხებს გადაეცაღებნათ. ვახტანგ მეფის ერთ უპირველესს შრომას „სამაოთლის წიგნი“ შეადგენს. თავი მოუყარა ამისთვის ზედ-მიწევნით მცოდნე პირებს, შეჰკრიბა ყველა ძველი ქართველთა სამართლის წიგნები, კარგად გაიცნეს, გაითვალისწინეს მათი ყოველი მუხლი და ამას შეუფარდეს ქართველთა სამართლის მუხლები. ამ გვარად, ვახტანგ მეფემ დაიწყო სამართლის წიგნის შედგენა, რომელსაც სახელად ეწოდა „ვახტანგ მეფის კანონები“. სამართლის წიგნში ჩაჩუქულია შემდეგი კანონები: გიორგი ბრწყინვალისა, აღბულა ათაბაგისა, დომენტი კათალიკოსისა, ებრაელთა, ბერძნული, და თავისივე საკუთარი. გარდა ამისა, ვახტანგ მეფემ საქართველოს წესსა და რიგსაც მიაქცია ყურადღება. მან შეადგინა სპარსული წიგნების მიხედვით და სპარსთა ერის წესების მიბაძვით „დასტურლამალი“. ამ წიგნში ბევრი საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. აგრედვე უთარგმნია ვრცელი „ვარსკვლავთ მრიცხველობა“. ამასთანავე მის საკუთრებას შეადგენს „ცხენის კილობანი“.

სტამბისა და წიგნების ბეჭდვის საქმე ისე სწრაფად მიდიოდა, რომ 1707 წ. წიგნების გამოცემისათვის ცენზურაც კი დაინიშნა. პირველი ქართველი ცენზორი იყო სასულიერო პირი. 1712 წ. კათო-

ბას. ამ გვარს ნოტას უკზანის საბა სულხან-ორბელიანის ხელით საფრანგეთის მეფეს ლიუდოვიკო მე-XIV. განზრახვა ვახტანგმა ვერ შეასრულა.

<sup>21)</sup> იხ. „ივერია“ 1885 წ. № X. „ისტორიული გამოკვლევა“.

ლიკოსმა დომენტიმ და შემდეგ კათოლიკოს ანტონ პირველის გახ-  
კარგულებით სამღვდლოებამ ვახტანგ მეფეს აუკრძალეს „ვეფხის  
ტყაოსნის“ ხალხში გავრცელება, რადგან მათის აზრით, ხალხში გა-  
რყენილებას შეიტანდა ასეთი შინაარსის წიგნები. ამაზე ვახტანგ მეფე  
იძულებული იყო „ვეფხის-ტყაოსნის“ ახსნა დაეწერა და ზოგი აზ-  
რები რუსთველისა შეემსუბუქებინა.


1723 წ. ოსმალებმა ტფილისი აიკლეს. რა რომ მთლად არ გა-  
ენადგურებინათ, ქართველებმა სტამბის იარაღი მიწაში ჩაფლეს. დრო-  
ებით მოიშალა სტამბა. ოსმალთა განდევნის შემდეგ საქართველოს  
ტახტზე თეიმურაზ მე-11, ერეკლეს მამა ავიდა. ხოლო ვახტანგ მეფე  
1724 წ. მთელის ოჯახობიჯა და დიდის ამალით გადასახლდა რუსეთში.

თეიმურაზის მეფობაში ისევ მოსძებნეს სტამბის იარაღი და  
ხელახლად გამართეს. განახლებული სტამბის ოსტატებად და გამგედ  
ისევ ძველები, ვახტანგ მეფის დროინდლები იყვნენ დანიშნულები.  
ამ დროს კიდევ სხვა ბევრმა ზოისურვა სტამბაში შესვლა და ხელო-  
ბის შესწავლა. მეფე თეიმურაზისავე ბრძანებით განახლდა სასული-  
ერო წიგნების ბეჭდვა.

თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილი ერეკლე გა-  
მეფდა. ამის მეფობის დროსაც კარგად მიდიოდა სტამბის საქმე. მა-  
შინაც დაიწყო საეკლესიო წიგნების ბეჭედა. ვახტანგ მეფის დროი-  
ნდელი სტამბის ხელოსნები გარდაიცვალნენ და მათი ადგილი ახ-  
ლად ნასწავლებმა დაიკირეს. სტამბის ზედამხედველად დაინიშნა მღ.  
დავით კექერაშვილი. იმ დროს სტამბა მეტეხის ციხის გალავანში იყო  
მოთავსებული.

მეფე ერეკლეს მოწვევით 1780 წ. სტამბოლიდან ტფილისში  
მოვიდნენ ამწყობ-მბეჭდავნი პოლოსა და დავით ოპანეხოვეები. ამათ  
მალე ქართული ენაც შეისწავლეს და 1781 წ. განახლდა ძველი სტა-  
მბა. ქართული ენა ისე შეისწავლეს, რომ წერასაც კი მიჰყვეს ხელი  
და განახლებული სტამბის ისტორია გამოსცეს, სადაც აქებდნენ მე-  
ფე ერეკლეს.

სამწუხაროდ კიდევ გადაეღობა წინ დამაბრკოლებელი მიზეზები.  
1725 წელს ტფილისს შემოესია ალა-მაჰმად-ხანი. შეშინებულებმა  
სტამბის იარაღი, რაც მოასწრეს, ტფილისის გარედ მთებში გადა-  
იტანეს და რაც ვერ მოასწრეს, ავლაბარში მიწაში ჩაფლეს შესა-  
ნახად. მტრის მოგერიების შემდეგ, ერეკლე მეფისავე ბრძანებით, და-  
ვით კექერაშვილმა ხელახლათ თავი მოუყარა სასტამბო იარაღს. და  
ისევ ძველებურად გააჩალა მუშაობა. 1796 წ. ამ სტამბაში გამოიცა  
რამოდენიმე სასულიერო შინაარსის წიგნი.




1798 წ. გარდაიცვალა მეფე ერეკლე და ტახტზე ავიდა გიორგი მე-XIII. სტამბა ისევ მეფის მფარველობის ქვეშ დარჩა და ისევ დ. კეყერეშვილს მიენდო ზედამხედველობა. გიორგის მეფობაშიაც გამოიკა რამოდენიმე წიგნი. დაიბეჭდა აგრედვე სამეფო სახლის დავთრები და განცხადებები.

როგორც სჩანს, წიგნები ყოველთვის სამეფო სახლის საფასით უბეჭდავთ. 1793 წ. მლ. ქრისტეფორე კეყერეშვილსაც<sup>22</sup>) თავისის ხარჯით რამდენიმე წიგნი დაუბეჭდავს. აგრედვე 1799 წ. დაიწყო ბეჭედა დავით ბატანიშვილის მიერ შედგენილი „ნარკვევისა“. 1798 წ. ამ სტამბაში დაიბეჭდა გაზეთის მსგავსი ფურცლები, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ლექსად მეფე ერეკლეს გლოვა და გიორგის ქება.

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველო რუსეთის სამეფოს შეუერთდა და სტამბაშიც საქმე ცუდათ წავიდა. მისი ყურისმგდებელი აღარავინ იყო. ყველა თავიანთ კერძო საქმეების ფიქრში იყო გართული. თუმცა კათოლიკოსმა ანტონ მე-II იკისრა სტამბის მფარველობა, მაგრამ ესეც დროებითი იყო. სტამბის გამგეები, გულშემამტკივარნი და ხელოსანნი ზოგი დაიხოცნენ და ზოგი აქეთ-იქით გაიფანტნენ. დედოფალნი, მეფის ძენი და ასულნი რუსეთში გადასახლეს. ამ ხანებში სტამბაში აღარაფერი არ დაბეჭდილა. 1804 წ. სტამბის იარაღი და ყოველივე მოწყობილობა რუსების მიერ დანიშნულ მთავარმართებლის ბძანებით შტაბის უმფროსს გარდაეცა. მთავარმართებელმა სტამბის გასაფართოებლად რუსეთიდან გამოიწერა ზოგიერთი საჭირო იარაღი, ქალაღი, რუსული ასოები და 1805 წლიდან კვლავ მოქმედება დაიწყო სტამბამ. ამ სტამბაში ქართული წიგნი ბევრი აღარაფერი დაბეჭდილა; იბეჭდებოდა მხოლოდ პატარ-პატარა ქართული ლოცვისა და ანბანის წიგნები, რუსეთის მთავრობის განკარგულებანი, საქართველოს მთავარმართებლის ბრძანებანი, განცხადებანი და სხვა.

1804 წ. მთავარ ეპისკოპოსმა ვარლამმა მოსკოვში გამართა სტამბა. ამ სტამბაში მუშაობდნენ: დიმიტრი ბაგრატიონი, იონა მროველი მიტროპოლიტი, გედევანიშვილი, აზნ. გიორგი პაიჭაძე, რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი და სხვა. აქვე იონა მროველმა დაბეჭდა შემოკლებული ლოცვანი 1815 წ. 1818 წ. დაბეჭდეს რუსეთის ბიბლიის საზოგადოების ხარჯით სახარება-სამოციქულო, 1824 წ. მხედრულის ასოებით ლოცვანი, დავითნი, კვირა-უქმეთა სახარების განმარტება-ქადაგებანი და სხვა.

<sup>22</sup>) ეს და ზემოდ ნახსენები (დავითი და ქრისტეფორე) კეყერეშვილები, როგორც სჩანს, ნათესავეები უნდა ყოფილიყვნენ.



1810 წ. ამ სტამბაში გამოიცა „ქართული ღრამატკიკა“. 1811 წ. დაიბეჭდა ახტალის მთავარ ეპისკოპოსის ვარლამის მიერ შედგენილი საქართველოს საეკლესიო მამულების აღწერა, რომელიც წარდგენილი იქნა საქართველოს მთავარმართებელთან. ამ უკანანასკნელმაც ეს აღ-

სურ • 4



### ძველი ეგვიპტური სურათოვანი წიკა.

ფართო ნაბრჭანის საფეხურებანი ფართოა. ფეხების ქონისთვის დასადუ-  
ნაბეჭ 3000 წლის წინა საუკუნეებში.

შეიქმნა გასაღებელია თვითონ ფართო, ბრჭანსავე მჭერი დატრთქვინა,  
შარტსენა სელი თმქვინი ჩაგულია და შარტყენათო უპირეზს კუცის დატყცმას.

ფართოების შარტყენა რუთსენი მკვეთი მთოაფეხულია ამ სენის განმა-  
ტყცმა. ქთონი ფართოს, მკვეთის, ნიშანია: შის ქვეშ მთოაბრულია ბჯალი, ბაღ ნი-  
შნაღს ქვეყნის ნაწილს. აქვეა ლთცთისის ექვსი ყვავილი და ნიშნაღს 6000.  
ქთონი უქიბრაღს მარტანი, ბრჭალიღ ქუჩქვინი თუ უხვბრნი აქვს გაყბილა  
უხვარს — ნიშანია ცყვერე რაყენის; ამის ქვეშ დასატყულია თუგმის საჭეტი  
იარაღი (ვარტყენ), ბრჭალსავე უვბრტყენაღ „ვა“ ურთქვინიღა და ვიდუე ქვეთო  
უხვადუთ თოს; უთისს. ბაღ ნიშნაღს ცმას.

მთულია რბრჭყრა ამე იკითსენია: მკვეთს დაიბეჭთო ცმასთან მკვეთრე  
ქვეყანა „ვა“ და რაბთოყენა 6000 ცყვერე.

წერა რუსეთის უმაღლეს მთავრობას გაუგზავნა. ამ აღწერაში მოხსენებულია იმ დროინდელი საქართველოს ეკლესიებისა და მონასტრების რიცხვი და თან მამულების შემოსავალ-გასავლის რაოდენობა, თან დართული აქვს რჩევა: თუ რუსეთის მთავრობა საჭიროდ დაინახავს რაიმე ცვლილებას, სულ ადვილად შეიძლება მოხდესო. შესაძლებელია კათოლიკოსობა გაუქმდეს და მის ნაცვლად ექსარხოზობა დაწესდესო.

1809 წ. მთავარეპისკოპოსმა ვარლამმა შეამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ტფილისში ქართული სტამბის გამართვისათვის. საქართველოს მთავარმართველმა ტორმასოვმა 15 ივნისს 1809 წ. მოიწონა ეს საქმე და ანტონ კათოლიკოსს აცნობა. ვარლამმა ტორმასოვს პირობა დაუდვა, თუ სტამბას გახსნიდნენ ტფილისში, მზად გამართულს დაზგასა და ყოველივე სასტამბო მოწყობილებას თავის ხარჯით გადმოიტანდა ტფილისში.

როგორცა სჩანს, 1828 წ. ექსარხოზის თეოფილაქტეს განკარგულებით უკვე უმთავრესმა შტაბმა ვარლამისაგან შექმნილი სტამბა ჩააბარა სიონის დეკანოზს ჩუბინოვს.

მთავარ მართველის სტამბაში მხედრულის ასოებით დაიბეჭდა სახარება. მცირე ხანში სტამბა უფრო გააფართოვეს. შეიძინეს ახალი ასოები და 1817 წ. დაიბეჭდა ქართული გაზეთი. რედაქტორ-გამომცემელი ვინ იყო არა სჩანს. სახელად „საქართველოს გაზეთი“ ერქვა<sup>23)</sup>.

ვახტანგ მეფის შვილები, რომ რუსეთში სცხოვრობდნენ, მაინც საქართველოზე ჰქონდათ ფიქრი. ბაქარმა და ვახუშტიმ<sup>24)</sup> განიზ-

<sup>23)</sup> გაზეთში ასეთი სარედაქციო განცხადებაა დაბეჭდილი: „ქართულის გაზეთის გამომცემნი ვალად თვისად პრაცხვენ. რათა წინასწარ აცნობონ პატივცემულ საზოგადოებასა, როჲელ გამოცემა ესრეთისა გაზეთისა, განგრძდების მომავალსაცა ჩყ წელსა. მას შინა შთაწერილ იქნებინ თვით იგივე მუხლნი, რომელნიცა მოხსენებული იყვნენ გამოცხადებასა შინა დაბეჭდილსა უწინარეს ამისა შემოღებისათვის აქა გაზეთის ბეჭდვისა. გაზეთი ესე გამოცემული იქნება ათას-რვაას ოცდაერთის წლის იანვრის პირველს რიცხვამდე, თვითოს კვირაში თვითო დაბეჭდილი ფურცელი. მოსაწერი ფასი დანიშნულ არს საკმაოდ ზომიერი სრულიადის გაზეთს აქ თბილისსა შინა გამოცემისათვის სამი რუბლი თეთრი ფული და სხვათა კალაქთა და ადგილთა მცხოვრებნი წარსაგზავნელად მათდამი გაზეთისა ამის მოცემენ აბახსა სრული დროსათვის. ამისათვის, რომელ წარსრულსა შინა წელსა გაზეთისა აჰის ვიწყეთ გამოცემაჲ მარტის თვეში და აწ იწყება გამოცემა მისი პირველის იანვრის რიცხვითგან და მას წარსულის წლისაზე მოემატება ათი ფურცელი და იქნება არღა ორმოცი, არამედ ორმოცდაათი ფურცელი საკეთართა შემთხვევასა შინა მომატებათათახა („თეატრი“ 1885 წ. № 4).

<sup>24)</sup> ბროსეს გადმოცემით ბაქარი ვახტანგ მეექვსის კანონიერი შვილი ყოფილა, ხოლო ვახუშტი უკანონო. ვახუშტი მეცნიერულს კვლევა-ძიებას მისდევდა თურმე. აგრეთვე 15-16 წლისას ჰქონია ხშირი მისვლა-მოსვლა ზოგის პატრებთან



რახეს იქ ქართული სტამბის დაარსება. ამათ მოსკოვში გაიწვიეს იოსებ სამებელი და სინოდის ნებართვით შეუდგნენ ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვას, რისთვისაც გააკეთებინეს ქართული ასოების ყალიბები; ჩამოასხმევეინეს ქართული ასოები და 1734 წ. მოსკოვის ახლოს, სოფ. ვესესიატკოვში გახსნეს ქართული სტამბა. სტამბის ზედამხედველად დანიშნეს იოსებ სამებელი, რომელიც სინოდმა გადაიყვანა მოსკოვის მონასტრის წინამძღვრად. მცირე დროს განმავლობაში რამდენიმე წიგნიც დაიბეჭდა. ამ უკანასკნელმა ხელმიწვევით იცოდა ასოთ-ამწყობობა.

იოსებ სამებელი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსის დროის მოღვაწეთა რიცხვს. იგი ქობულაშვილი იყო გვარად და სამების მონასტრის ქორეპისკოპოსად დანიშნული სოფ. ხაშში. მე-XVII საუკუნის დასასრულს იოსებს ამწესებენ შიო-მღვიმის ილუმენად. 1705 წ. პატრიარქმა დომენტიმ აკურთხა ეპისკოპოსად და 1709 წ. — სამებელად, ესე იგი, მიიღო სამების ეპარქია. 1723 წ. სამების ეპარქია აიკლეს ლეკებმა და იოსები გადაყვანილ იქმნა წილქნის კათედრაზე. როდესაც ვახტანგ მეფე გადასახლდა მოსკოვს, მას თან გაჰყვა იოსებ სამებელიც და შეუდგა რუსეთში ფულების მოკრებას დარღვეულ ტაძრების სასარგებლოდ. დარიალის ხეობაში სამებელი ლეკებმა გაძარცვეს და ტყვედ წაიყვანეს. ჯვარის ციხის კამენდანტს ბრძანება მისცა რუსის მთავრობამ, რათა სამებელი ტყვეობიდან დაეხსნათ. მართლაც 1732 წ. სამებელი უკვე მოსკოვშია და დაენიშნა 500 მან. ჯამაგირი. ანნა დედოფალმა სამებელს უბოძა ნოვგოროდის ქორეპისკოპოსის, თეოფინე პროკოპოვიჩის, მოადგილეობა. ნოვგოროდში სამებელი შეუდგა ქართული სტამბის მოწყობას და 1739 წ. უკვე დაიბეჭდა „ზადიკი“ ქრისტეფორე გურამიშვილისა და რამდენიმე სხვა პირთა მეცადინეობითა და დახმარებით. <sup>25)</sup> ამავე სტამბაში დაიბეჭდა „ჟამნი“, „მარხვანი“, „პარაკლიტონი“ და „სახარება“. <sup>26)</sup>

რომელნიც მაშინ თავისუფლად ცხოვრობდნენ ტფილისში. ვახუშტის ფრანგობა დასწამეს და ამის გამო მამამ აუკრძალა ყოველივე კავშირი უცხო ქვეყნებთან (იხ. „ვახუშტის საქართველოს ისტორია“, წინასიტყვაობა მეორე გვ. X).

<sup>25)</sup> ეს დახმარებნი იყვნენ: დარეჯანის, არჩილის ასულის, კარის მღვდელი გიორგი ლამბარაშვილი, ბერ-მონაზონი დავით ხოსიაშვილი. არქიმანდრიტი ექვთიმე, ძმისწული იოსებ სამებელისა (1740 წ. ამას რუსულიდან ქართულად გადათარგმნია კონდაკი); მელქისედექ კავკასიძე, მეფე ვახტანგის მდივანი (ეს მართო „დაბადების“ გამოცემაში იღებდა მონაწილეობას) და არქიმანდრიტი გერმანე (იხ. „ივერია“ 1885 წ. № 10).

<sup>26)</sup> იხ. ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1904 წ. გამოცემული. გვ. 590 — 591.


იოსებ სამებელმა ბოლოს საქმე ისე წაიყვანა, რომ ბაქარის მიერ დაარსებული სტამბაც თავისას შეუერთა და ამ შეერთებულ-გაფართოვებულ სტამბაში დაიწყეს ხუცურისა და მხედრულის ასოები წიგნების ბეჭდვა. მაშინ სტამბის ზედამხედველებად დანიშნეს ბერ-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და მღვდელი ფილიპე.

რუსეთში დაბეჭდილი წიგნები სწრაფად იგზავნებოდა საქართველოში და ავრცელებდნენ. იოსებ სამებელი თავის სტამბის გადმოტანას საქართველოში აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა. 1750 წ. გარდაიცვალა ასტრახანში. ყოველივე მისი განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ამავე წელს გარდაიცვალა ბატონიშვილი ბაქარ.

იოსებ სამებელის სიკვდილის შემდეგ რუსეთში შესწყდა ქართული წიგნების ბეჭდვა. 1757 წ. რუსეთში გადაიყვანეს საქართველოს კათალიკოსი ანტონ I, რომელიც დანიშნეს ვლადიმერის ეპისკოპოსად<sup>27)</sup>. მან იმდენად იმეცადინა, რომ იოსებ სამებელის სტამბა ვლადიმერს გადაიტანა და იქ დაიწყო წიგნების ბეჭდვა. დაიბეჭდა სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ ვახუშტის მიერ ნათარგმნი, „ქართულ-რუსულ-ლათინური ანბანი“ და სხვ. წიგნები. 1764 წ. ანტონ კათალიკოსის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს სტამბა დაიხურა. 1772 წ. გარდაიცვალა ბატონიშვილი ვახუშტი და დაკრძალეს დონსკის მონასტერში.

1765 წ. მეორე სტამბა გახსნა მიტროპოლიტმა ათანასე ამილახვარმა. ამ სტამბაში კორექტორად იყო მელქისედექ კავკასიძე. ეს ათანასე 1759 წ. მეფე ერეკლემ რუსეთში ელჩად გაგზავნა, რომელიც რუსეთიდან აღარ დაბრუნებულა და მიიღო იქაური ქვეშევრდომობა. მან თავის სტამბაში გამოსცა შემდეგი წიგნები: „სამოციქულო“, „დავითნი“, „ლოცვანი“, „ჟამნი“, „დაუჯდომელი“, „პარაკლისი“ და ანბანის წიგნები. აგრედევე დაიბეჭდა რამდენიმე საერო ლექსები და იამბიკოები ბაქარ ბატონიშვილისა. ათანასე გარდაიცვალა 1774 წ. და დაკრძალეს დონსკის მონასტერში. შემდეგაც კარგა ხანს არსებობდა ის სტამბა და იბეჭდებოდა წვრილმანი წიგნები მხოლოდ სასულიერო შინაარსისა. ბოლოს სტამბის ყველა იარაღი უწმინდესის სინოდის საკუთრებად გარდაიქცა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა ტფილისიდან მოსკოვში გადაიტანეს, რომელთა ბეჭდვაც გაგრძელდა 1760 წლამდე.

<sup>27)</sup> ანტონ კათალიკოსმა შეადგინა და გადმოიღო უცხო ენებიდან შემდეგი წიგნები: „მზამეტყულება“, „ქართული ისტორია“, „ფილოსოფია“, „ფიზიკა“, „ქართული ღრამატიკა“, „წყობილ-სიტყვაობა“, „კატეხიზმო“, „ღვთის-მეტყულება“ და სხვ.



ეკატერინე მეორის დროს პეტროგრადში სცხოვრობდა ქართული ეპისკოპოსის გრიგოლ ხარქაშნელი. 1768 წ. ამანაც გახსნა ქართული სტამბა და დაბეჭდა ქართული სახარება. ამ ეპისკოპოსის სხვაეც მრავალი წიგნი ჰქონია დაწვებული, მაგრამ დამთავრება ველარ შესძლებია. შემდეგში ეს სტამბა მიითვისა საქართველოში პირველ ექსარხოხსად ნამყოფმა ქორ-ეპისკოპოსმა ვარლამმა. სტამბა უფრო განაახლა და გააფართოვა. ამ სტამბაში დაიბეჭდა „თენი“, „სახარების ახსნა“ და სხვა წიგნები. 1815 წ. დაიბეჭდა ლექსად „წამება ქეთევან დედოფლისა“, დაწერილი დიმიტრი ბატონიშვილის მიერ.


ამ სტამბის გახსნით პეტროგრადში ჩაეყარა საფუძველი ქართული სტამბის არსებობას, რომელსაც სამეცნიერო აკადემიის სტამბა ეწოდება. აქ აკადემიკოსმა მარი ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა გამოსცეს „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“, „ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონი“, „ქრესტომატია“, „საპასეჟო ცხრილი“, „ვეფხის-ტყაოსანი“, „სიბრძნე-სიცრუე“, „ქართული ღრამტიკა“, „ჩონგური“, ლექსების კრებული ლორთქიფანიძის, „კაცია-აღამიანი“ ილია ჭავჭავაძისა და სხვ. წიგნები.

პეტროგრადში ქართული სტამბის ასოთ-ამწყობად ყოფილა ვინმე ტაბიძე. ეს კარგად მოსწრებია თურმე რუსეთში მყოფ ბატონიშვილებს. იმ დროს პეტროგრადსა და მოსკოვში რაც კი ხუცურისა და მხედრულის ასოებით დაბეჭდილი წიგნებია, ყველას აწყობაზედ მონაწილეობა მიუღია ზემოხსენებულ ასოთ-ამწყობს.

მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში თელავის სემინარიის რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი გადავიდა რუსეთში, კრემენჩუგს. იქ ერთ სტამბაში შეიძინა ქართული ასოები და 1793 წ. გამოსცა „ქართული ღრამტიკა“, 1793 წ. „საციკარო ლოცვანი“, „მცნება ვასილის ბერძენთა მეფისა“ და სხვ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაიოზ ნაცვლიშვილი მოზდოკისა და ყიზილიარის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. ამას მოზდოკშიაც გაუხსნია სტამბა და რამდენიმე წიგნი დაუბეჭდია.

1709 წ. ტფილისში გახსნილი სტამბა და წიგნების ბეჭდვა ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ საქართველოს. დაბეჭდილი წიგნების რიცხვი სწრაფად ვრცელდებოდა. 1709 — 1713 წ. წ. ტფილისში რაც კი წიგნი გამოიცა, მარტო დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ერთი და იგივე წიგნი რამდენჯერმე დაიბეჭდა.

ქართული სტამბის დაარსების სურვილი იმერეთსაც აღეძრა და სოლომონ მეფემ ამისათვის ტფილისში შესაფერი მიწერ-მოწერა გა-



მართა. ტფილისში სტამბის ხელმძღვანელებსა სთხოვდნენ ამ საქმეში დახმარებას. როგორც იქმნა საქმეც მოაგვარეს: სტამბისათვის საბეჭდი დაზგა რუსეთიდან გამოიწერეს, ხოლო ხუცური და მხედრული ასოები კი ტფილისში ჩამოასხმევინეს. 1787 წ. ქუთაისში უკვე პირველმა ქართულმა სტამბამ დაიწყო მუშაობა. სტამბის მოწყობის ხელმძღვანელობა ტფილისიდან მოსულმა ზაქარია არქიმანდრიტმა და რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილმა იკისრა, რომელნიც მიხეილ ვლახელთან იყვნენ სამუშაოზე გაწრთენილნი. სტამბის მოწყობის საქმეში ამათ დიდი დახმარება გაუწიეს. ზემოხსენებულ გელათის არქიმანდრიტს ზაქარიას უსწორებია დასაბეჭდი გამზადებული დენდები და კორექტორადაც თითონა ყოფილა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა საეკლესიო წიგნები.

1787 წ. ქუთაისში უკვე გამოიცა პირველი ქართული წიგნი. შემდეგ სხვა წიგნებიც მოჰყვა. ყველა გამოცემის კანზე დაბეჭდილია მოხსენება იმერეთის მეფისა და კათოლიკოსისა ისე, როგორც ეს ტფილისის სტამბაში იყო შემოღებული ვახტანგ მეფის დროს.

იმერეთში სტამბის გახსნისა და წიგნების ბეჭდვის ამბავი ჩქარა სამეგრელომ, გურიამ, სვანეთმა და სხვა ასეთ დაშორებულმა კუთხეებმა შეიტყო. სტამბის გახსნის სურვილი მათაც დიდი დაებადათ, მაგრამ მე-XIX საუკუნის დასაწყისს თან მოჰყვა შინაური და გარეული ცვლილებანი და ამის მიზეზით მათი სურვილი განუხორციელებელი დარჩა.

რადგან იმერეთში სტამბის არსებობა და წიგნების ბეჭდვა დიდ ხარჯსა და მუშაობას თხოულობდა, ამიტომ სტამბის მფარველობა იკისრა მეფე სოლომონმა. სტამბის გამგეთა და ზედამხედველად თავისი საბლაი-უხუცესი ზურაბ წერეთელი დანიშნა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთში შავი-ქირი გაჩნდა, ამიტომ სტამბა გადაიტანეს ჯერ საჩხერეს და შემდეგ წესში (რაქა), რისთვისაც ქუთაისში დაწყებული სოფრომ ეპისკოპოსის „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა 1811 წ. დაუმთავრებია ზურაბ წერეთელს. იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს სტამბა მაინც არ გაუქმებულა, სტამბა ზურაბ წერეთელს თავის მამულში, საჩხერეში, გადაუტანია და იქ უბეჭდავს წიგნები. 1817 წ. საჩხერეში გამოუციათ სახარება, ეს სტამბა 1820 წ. დაიხურა.

1829 წ. ტფილისში ქართული სტამბა გახსნა სოლომონ დოდაშვილმა ივ. ხელაშვილის საფასით, რომელმაც ზედ 6000 მანეთზე მეტი დახარჯა. უნდა აღინიშნოს, რომ დამაარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ. აქ უნდა დაებეჭდათ ყველა სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც კი იხმარებოდა ახლად გახსნილ სემინარიაში და ამ დროის

კეთილშობილთა სასწავლებელში. ამავე სტამბაში დაიბეჭდა დოდა-  
შვილის მიერ შედგენილი „ქართული ლრამნტიკა“. პირველად ამ სტამ-  
ბაში გამოიცა ქართული გაზეთი „ტფილისის უწყება“. 1837 წ. ეს  
სტამბა სრულიად დაიხურა და მისი გამგე-პატრონი სამუდამოდ გა-  
დაასახლეს რუსეთში, და აღარ დაბრუნებულა საქართველოში.<sup>28)</sup>


1825 წ. ტფილისში სტამბა გახსნა ამტრახანელმა სომეხმა არზა-  
ნოვმა. ამ სტამბაში ქართული ასოებიც იყო. აქ პლატონ იოსელი-  
ანმა დაბეჭდა შავთელისა და ჩახრუხაძის პოემები. საქართველოში  
პირველი სომხური წიგნი ამ სტამბაში დაიბეჭდა 1833 წ. მანამდე კი  
სომხური წიგნი საქართველოში არ ყოფილა. აგრეთვე დაიბეჭდა სო-  
მხური ლოცვანი და სახელმძღვანელო წიგნები. ამ სტამბამაც მცირე  
ხანს იარსება და დაიხურა. სტამბის მოწყობილობა გარდასცეს ნერ-  
სესიანის სტამბას.

სომეხთა კათალიკოსის ნერსესის ნებართვით 1827 წ. ტფილი-  
სში სომეხთა ნერსესიანის სემინარიასთან გახსნეს სტამბა. აქ კათა-  
ლიკოსის ლოცვანი ქართულის ასოებით დაიბეჭდა, ხოლო სიტყვები  
კი სომხური იყო. ამით რასაკვილველია, საქართველოს სომხებს გაუ-  
ადვილდებოდათ სომხური ენის სწავლება. შემდეგში მართლაც, თან-  
დათანობით აღადგინეს სომხური ენა. შემდეგში ამ სტამბაში ქარ-  
თული წიგნი აღარაფერი დაბეჭდილა. სტამბის პატრონებმა მთელი  
ყურადღება მხოლოდ სომხური წიგნების ბეჭდვას მიაქციეს.

1850 წ. საქართველოს მთავარმართებლის ვორონცოვის დროს  
ქართველებში სურვილი აღიძრა ქართულ ენაზე დროგამოშვებითი  
გამოცემის შესახებ. ვორონცოვმაც ამას შესაფერი ყურადღება მიაქ-  
ცია და ნება დართო თეიური ჟურნალის „ცისკრის“ გამოცემისა. ამ  
ჟურნალისათვის საკუთარი სტამბაც შეიძინეს. სტამბისათვის ზოგი-  
ერთი იარაღი თვით მთავარმართებელმა აქუჩა თავის სტამბიდან..  
1851 წ. გიორგი ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა კიდევ ჟურ-  
ნალი „ცისკარი“. ამ ჟურნალმა ორ წელიწადს ვერც კი იარსება  
და 1854 წლიდან დაიხურა, ხოლო 1855 წლიდან კიდევ სტამბა  
დაიხურა.

1856 წ. ეს სტამბა შეისყიდა ივ. კერესელიძემ და განაახლა  
ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა. რადგან კერესელიძეს ფული სრულიად  
არა ჰქონდა გადახდილი სტამბისა და ვერც შემდეგში გარდაიხადა,  
გიორგი ერისთავმა სტამბა აუწერა და დაუბეჭდა, „ცისკრის“ გა-

<sup>28)</sup> ამის შესახებ იხ. ზ. კიკინაძის მიერ შედგენილ-გამოცემული „ისტორია  
ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა“.



მოცემა ისევ შესწყდა.<sup>29)</sup> კერესელიძემ, როგორც იყო, იშოვა ფული და გადაუხადა ვალი ერისთავს. სტამბა ისევ ამუშავდა. როგორცა სჩანს, ეს სტამბა ივ. კერესელიძის ხელში კარგა ხანს ყოფილა. ხოლო 1873 წ. შეუსყიდნია ექ. ხელაძეს.


ქართულ სტამბა საქართველოს გარედ, უცხო ქვეყნებშიაც იყო საკირო. ამას ყურადღება მიაქცია პეტრე ხარისკირაშვილმა და 1850 წ. ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, სადაც სომეხ-კათოლიკეთა მხიტარისტების სტამბა არის, ჩამოასხმევინა ქართული ასოები და შეუდგა ქართული წიგნების ბეჭდვას. 1870 წ. ხარისკირაშვილმა ეს ასოები კონსტანტინოპოლში გადაიტანა, მოათავსა ფაფის აშენებულს მონასტრის მახლობელს სტამბაში. ამავე პირის მეოხებით ქართული სტამბა მონთობანშიაც გაიხსნა, სადაც ქართველ კათოლიკე ბერების დახმარებით რამდენიმე წიგნი გამოიცა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგ ქართულის ასოებით დაბეჭდილი წიგნები გამოიცა აგრედვე ლეიბციგს, ვენას, ვენეტიკას და პარიზში.

1832 წ. პარიზში აკადემიკოსმა მარი ბროსემ ქართულ-ფრანგულის ასოებით ლითოგრაფიაში დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი, 1845 წ. ტრიესტში ლითოგრაფიაშივე დაიბეჭდა ქართული წერის დედანი ტარასი არქიმანდრიტის მიერ შედგენილი.

შემდეგში გახსნილ სტამბების ცნობებს აღარ მოვიყვანთ, რადგანაც ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს.


<sup>29)</sup> ქართულ ენაზე გამოდიოდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: 1860. ი. ოქრო-მკედლიშვილის რედაქტორობით სამეურნეო ჟურნალი „გუთნის დედა“. 1863 წ. ილია ქავეკავაძის „საქართველოს მოამბე“, 1866 წ. გ. წერეთლის რედაქტორობითა და ს. მელიქიშვილის, ნ. ლოლობერიძისა და ვ. თულაშვილის საფასით გამოიცა გაზ. „დროება“, ამავე წელს გ. წერეთელმა გამოსცა „სასოფლო გაზეთი“, 1869 წ. ავალიშვილის რედაქტორობით „მნათობი“, 1871 წ. გ. წერეთელმა „კრებული“, 1877 წ. ი. ქავეკავაძე კერძოული ჟურნალი „იერია“, 1884 წ. მ. გურგენიძემ „იჟედი“, 1882 წ. ქუთაისში დ. დადიანის რედაქტორობით გამოვიდა „შრომა“, ქუთაისშივე 1883 წ. ეკ. ლორთქიფანიძემ გამოსცა „ქართული ბიბლიოთეკა“, 1884 წ. გამოიცა მხოლოდ ერთი ნომერი „მოამბე“, 1882 წ. ანდრია ლულაძემ გამოსცა საცმაწვილო ჟურნალი „ნობათი“, 1885 წ. ვ. აბაშიძე „თეატრი“. 1886 წ. დ. ლამბაშიძემ გამოსცა სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“, 1888 წ. ვასილ სულხანიშვილის რედაქტორობით გამოიცა „მეურნე“, 1890 წ. ან. თუმანიშვილმა გამოსცა საცმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, 1894 წ. ამისივე რედაქტორობით „კვალი“, 1894 წ. ალ. ჭყონიამ „მოამბე“, ამის შემდეგ დღევანდლამდე მრავალი ჟურნალ-გაზეთები გამოცემული, რისთვისაც უადგილობისა გამო ყველას ვერ აღვნიშნავთ.





### III

#### გეგმაში სპირიტუალური<sup>1)</sup>




ოგორც ვიცით, ძველად საქართველოში ხმარებაში ყოფილა ხელთ-ნაწერები. სახელმწიფო სიგელ-გუჯრებიც ამგვარად იწერებოდა. ამანირაღვე იწერებოდა დიდრონი წიგნები. რაკი ყველას ვერ შეეძლო წიგნის შექმნა, ერთი წიგნი ოჯახიდან ოჯახში დაჰქონდათ და ისე სარგებლობდნენ. ამ ნაკლს ბოლო მოუღო ევროპაში გუტენბერგმა და შემდეგში საქართველოში ვახტანგ მეფემ პირველი სტამბის დაარსებით. თუმცა ვახტანგმა ვლახიიდან გადმოიტანა საბეჭდი იარაღი და თან გადმოჰყვინენ სტამბის ოსტატებიც; მაშინდელი იარაღი სრულიად პრიმატიული იყო, საბეჭდი დაზგა ხისა იყო გაკეთებული და ასოებიც უსწორ-მასწორო, მსხვილი და ულაზათო შეხედულებისა იყო.

იმ ხანებში არც რუსეთში ყოფილა სასტამბო ხელოვნება განვითარებული. იმათაც უსწორ-მასწორო, მოშავო და უშხო ასოები და ძველებური საბეჭდი მანქანა ჰქონიათ. დღეს ეს მდგომარეობა შეცვლილია. ბეჭდვითი საქმე რუსეთშიაც საკმაოდ განვითარებულია, ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში კი ზედმიწევნით.

როგორადაც იქა დაწინაურებული ბეჭდვითი საქმის ხელოვნება, საქართველოშიაც ისევე უნდა იყოს. მაგრამ სულ სხვასა ვხედავთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი ფხიზელია, მაინც მიზღუბი ბევრი გადაელობა წინ. ქართველმა ხალხმა წარსულში ბევრი ქირ-ვარამი გამოიარა თავის არსებობაში. რაოდენი დააკლდა და გარეშე მტერმა ვერ შეასრულა, ეს იქისრა მან, რომელიც მფარველად მოეველინა და ნებით შეიერთა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე იმ ცდაში იყო, რომ ყოველ განვითარებისათვის ხელი შეეშალა. ქარ-

<sup>1)</sup> აქ აწერილია 1917 წლამდე არსებული მდგომარეობა, რომელიც თითქმის არ შეცვლილა სტანბების ნაციონალიზაციამდე 1921 წ. ა. კ.



თული მწერლობა და მწიგნობრობა მაინც არ აღიგავა და თანდათანობით უფრო განვითარდა. ამასთანავე აუმჯობესებდნენ ქართულ სტამბასაც. ქართულ სტამბას 300 წლის ისტორია აქვს და შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ბეჭდვითი საქმეს განვითარება დაეტყო.


თუმცა საქართველოში დღეს არსებული ქართული სტამბები ისე ვერ არის მოწყობილი, როგორც უცხო ქვეყნებშია, ამისი უმთავრესი მიზეზი კიდევ ჩვენებური მესტამბეების უცოდინარობა და დაუდევრობაა. უფრო მესტამბეებად ისეთები არიან, რომელთაც სტამბისა არაფერი გაეგებათ.<sup>2)</sup> იმათ ერთად-ერთ სურვილს შეადგენს, რაც შეიძლება მეტი მოგება ხვდეთ წილად. მაგრამ რომ დავაკვირდეთ, არც ამისი უნარი აქვთ. რუსეთში ყოველ პატარა სტამბის პატრონს კარგად, აქვს ამ მხრივ საქმე დაყენებული. ჩვენებური მესტამბის უცოდინარობათ ისიც ჩაითვლება, რომ რაც შეიძლება იაფფასიანს ასოთ-ამწყობსა და მბეჭდავს მოსძებნიან ხოლმე, თუნდა ერთი კვირის შესული იყოს სტამბაში, ოღონდ როგორმე ასოების ამოკრება და ულაზათოდ ბეჭვდა კი მოახერხოს. ცხადია ამით ბეჭდვითი ხელოვნება უკან ჩამორჩება.

ჩენში არც გამომცემნი არიან ბეჭდვითი საქმის მცოდნენი, ვერ არიან სტამბასთან დაახლოვნებულნი, თუმცა ზოგიერთებს გამოცდილ გამომცემლებაც კი მოაქვთ თავი, მაგრამ მათი ეხლანდელი გამოცემანიც კი ისევე ძველებურის ფორმითა და ხელოვნების მხრით ულაზათოდაა დაბეჭდილი, მიუხედავად იმისა, რომ პირველში მესტამბე და გამომცემელი უნდა იყოს ამისათვის შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი, რათა გამომცემანი იბეჭდებოდეს ისე, როგორც უცხო ქვეყნების გამომცემბია. როგორცა ვხედავთ, თუ კი ვერც მესტამბე და ვერც გამომცემელი ყოფილა ამ საქმეში გამოცდილი, სამაგიეროდ პირველი ადგილი ამ მხრივ ასოთ-ამწყობს მაინც უნდა ეჭიროს, რომ ცოტაოდენი სილამაზე მაინც ამ უკანასკნელმა შეიტანოს გამოცემაში<sup>3)</sup>.

2) ლაპარაკია რევოლიუციის წინა დროზე.


3) სანიმუშოდ გადათვლიერეთ: კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული „მგ. ნინოშვილის სრული თხზულებანი“ (1904 წ.) და ნოე ჟორდანიას ნაწერები (1910 წ.) რომლებიც ნათლად ღაღადებენ, რომ როგორც გამომცემელი, ისე ასოთ-ამწყობი სრულიად შორსა მდგარან ბეჭდვითი ხელოვნებასთან. ორი უზარმაზარი წიგნი მრავილის შეცდომებით არის გაკესებული, ქალაქი სხვადასხვა ჯურისაა, აწყობილი მთლად დამახინჯებულია და დაბეჭდილიც — ზოგი გვერდი მთლად გათხვრილია საღებავით, ზოგი სულ არა სჩანს. ასეთი სახელოვანი მწერლების ნაწერების ამ ყოფით გამოცემა, დიდ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. უცხოეთში ამნარი გამომცემები განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომელნიც მკითხველთა ყურადღებას იქცევს სილამაზის მხრივ.





ასოთ-ამწყობი პატარა უჯრებიდან აწყობს ტყეის წვრილ ასოებს, შემდეგში ამას აერთებს წიგნისა, ან გაზეთის კაბადონის ზომაზე და გადასცემს მეორე ხელოსანს — მბეჭდავს. ცხადია, სტამბაში თუ ასოთ-ამწყობი არ იქნა, ვერც ერთი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი ვერ გამოიციემა.

სურ. 5




**ლუკსენური წარის ნიშნები.**

ბანილონის ჰუიანს ლაჟურანის რკრი-  
ლი. სესვრონდა ჰე-ჟი საჟურენის დამ-  
ლუჟს ძრისცჳს რან.

ერთს თაბახს ქალაღდის მასალას თავს დატრიალებენ და მკითხველისათვის ამ მასალას გაზეთის სახით ამზადებენ.

რომ დაუკვირდეთ, მწერლებსა და ასოთ-ამწყობებს შორის მახლობელი კავშირია; ესენი უერთმანეთოდ ხალხს ვერავეითარ ნაყოფს ვერ მოუტანენ. რა დიდი კავშირიც აქვს ამათ ერომანეთში, იქიდანაც აშკარად სჩანს, რომ მწერალი უპირველესად ყოველისა თავის გულის ნადებს ასოთ-ამწყობს უზიარებს, თავის ნაწერს პირველად იმას აკითხებს, ამ უკანასკნელის ხელში ხდება ნაწარმოების ყოველივე

მკითხველი საზოგადოება აღტაცებაში მოდის, როდესაც რომელიმე მწერლის ნაწერს, ლამაზის ასოებით აწყობილსა და სუფთად დაბეჭდილს წიგნს აიღებს ხელში და ჰკითხულობს: სტკებებიან, როდესაც ლამაზის წიგნებით ამშვენებენ საოჯახო წიგნთ-საცავს. გაზეთის კითხვის დროს, შინაარსით ჩაფიქრებულს ან გატაცებულს, იშვიათად ახსენდებათ ის დიდი შრომა, რომელსაც ეწევიან უჩინარი მუშაკნი — ასოთ-ამწყობნი. უტყუარი კეშმარიტებაა, რომ ას მკითხველში, იქნებ ერთს მოაგონდეს გაზეთის კითხვის დროს ხსენებული მუშაკნი და გაითვალისწინონ, რომ ეს ნაბეჭდი ქალაღდი, რომელსაც იგი დიღას, კარგად გამოძინების შემდეგ, სიამოვნებითა თუ უსიამოვნოთ ათვალეირებს, ნაყოფია რამდენიმე კაცის შრომისა, რომელნიც მთელი დღის განმავლობაში ამ




ცვლილება, მის ხელშივე გაივლის ხოლმე წითელის მელნით ნაჯღაბნი და შემდეგში ეღირსება ხოლმე ხალხში გავრცელება. ასე რომ ბები-აობას ასოთ-ამწყობი კისრულობს.

როგორც ვხედავთ, თუ უერთბანეთოდ არ შეუძლიანთ მუშაობა მწერალსა და ასოთ-ამწყობს ლიტერატურულს საქმეზე და ისეთი სა-იღუმლოს გაზიარებაც კი, როგორც ნაწარმოების კითხვაა, უხდება პირველად ასოთ-ამწყობს, მაშინ უნდა მკითხველს გაახსენდეს, რომ მწერლის კარგი თხზულების ლამაზად ამწყობ-დამბეჭდავსაც კარგი შრომა მიუძღვის.

ასოთ-ამწყობის შემდეგ ბეჭდვითი საქმეში არა ნაკლები ად-გილი უჭირავს მბეჭდავსაც, რომელიც სტამბაში საბეჭდავ მანქანაზე მუშაობს. თუ მბეჭდავი კარგად ვერ არის ამ საქმეში დახელოვნებუ-ლი, მისი დაბეჭდილი გამოცემა ხელში არ აიღება. როგორც მწე-რალი და ასოთ-ამწყობი უერთბანეთოდ ვერ გამოდგებიან ბეჭდვითი საქმეში, ისევე უერთბანეთოდ ვერ ივარგებენ ასოთ-ამწყობი და მბეჭდავი.

ადვილად შეიძლება ეს სამი დარგის მუშაკი სათითაოდ, ყველა თავ-თავის ადგილას დიდ მოკირნახულედ ითვლებოდეს საზოგადო საქმეში, მაგრამ ცოტა სხვანაირად უნდა შევხვით. ცხადია, საპატიო ადგილი ჯერ პირველ დარგის მუშაკს -- მწერალს უნდა მიეკუთვნოს, როგორც იდეურ მომუშავეს, მაგრამ ძალიან დიდი განსხვავების შე-ტანაც შეუძლებელია ამ სამი დარგის ჰუმაკთა შორის. მწერალი თუ აზრსა და გონებას ამუშავებს, რომელიც მისთვის სრულიად ად-ვილია და გაწაფულიც არის ამ საქმეში, ისე როგორც დანარჩენი მუშაკნი ასოთ-ამწყობნი და მბეჭდავნი თავიანთ საქმეში, არა ნაკ-ლებად მუშაობს ასოთ-ამწყობიც, როდესაც გონებასთან ერთად ფი-ზიკურადაც დიდ ჯაფაშია. დილიდან საღამომდე უხეზე დგომა, წვრი-ლი ასოების აწყობის დროს მკლავებისა და თითების ვარჯიშობა, თვალების ჩაწყალება სხვადა-სხვანაირს ხელთნაწერებზე; ამ დროს ასოთ-ამწყობი, თუ კარგი მცოდნეა, გონებასაც ამუშავებს, რომ ნა-წერის წაკითხვის დროს წინადადება არ აერიოს და დამახივჯებუ-ლად არ გამოუვიდეს ანაწყობი. მწერლებში კი, უმეტესმა ნაწილმა, შეიძლება დღეში ორი-სამი საათიც არ მოანდომოს ლიტერატურულს მუშაობას. ასოთ-ამწყობზე არა ნაკლები ძალა ადგია მბეჭდავსაც.


ასოთ ამწყობი აწყობს და აძლევს საზოგადოებას წასაკითხავად ყოველგვარ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებს. ამ აწყობის დროს მას აკლდება თვალის სინათლე, მთელი დღე ერთ ადგილზე ფეხზე დგო-მით მუხლებში ელევა ძალ-ლონე, სისხლი აკლდება ძარღვებში და



ისე დაჩივდება ხოლმე ჯერ კიდევ კაბუჯი, რომ ძალზე მოხუცებულს ემსგავსება.

ცხოვრებაში არც ერთი ხელობა ისე საჯაფაო არ არის, და მაზარალებელი, როგორც სტამბაში მუშაობა. სტამბის ჰაერი მოწამ-


სურ. 6



**ქველავური საწერი იარაღები.**

ვასანთოლული ფირფიცეში. კალაში — ლუბრძის ლუბო. საში ცალი სცილი. დასყუელი გზავნილი. საშულნი. ვაშლილი გზავნილი.

ლულია საბეჭდავი მასალებით, წამლებით და ტყვიის მტვერით. ხშირად ხდება, რომელიმე გამომცემელი ან მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ მას სტამბაში დაჟიქ მომუშავებთანა აქვს საქმე, წლები გაიფლის, რომ არც კი შეევა შიგ. სჩანს ერთის შესვლითაც კი საწყენია ადამიანისათვის იქაური ჰაერი.




ჩვენმა მწერლობამაც ძალიან კარგად იცის, როგორი მაზარა-ლებელია ასოთ-ამწყობისათვის სტამბაში მუშაობა, მაგრამ ერთხელაც არავის მოსვლია ფიქრად, რომ ამ აუტანელი შრომის პირობებს ყურადღება მიაქციონ და მათი ცხოვრება და ჭირ-ვარამი აღნიშნონ. პირიქით პირველნი უკანასკნელებს ისე უყურებენ, როგორც დაქირავებულებს და ამუშავებენ, ისე როგორც დამქირავებელნი. იმათის შეხედულობით ასოთ-ამწყობი მორჩილი უნდა იყოს და მწერალი კი მისი ბრძანებელი.

ასოთ-ამწყობს აგრედვე ერთი ნდობით აღქურვილი თანამდებობაც აბარია, როგორიც არის წერილის ავტორის ვინაობის დაფარვა. საზოგადოდ ყურნალ-გაზეთებზე შემოღებულთა: თუ რომელიმე მწერალს თავისი სახელისა და გვარის გამომჟღავნება არა ჰსურს, იგი თავის წერილს უეჭველად გამოგონილ სახელს (ფსევდონიმს), ან ინიციალებს მოაწერს ბოლოში, ან და სრულებით ხელმოუწერელს გაუშვებს. მაშინ ცხადია, მკითხველები წერილის ავტორის ვინაობას ვეღარ შეიტყობენ. უმთავრესად მეთაურები, ნარკვევები და საპოლ-მიკო ხასიათის წერილები იბეჭდება ასე. ასოთ-ამწყობმა ყველა ამათი ვინაობა კარგად იცის, სათითაოდ კარგადაა სცნობს, რომლის მწერალსაც ეკუთვნის. მაშასადამე, ასეთი მწერლებისა და თანამშრომლების საიდუმლოება დამოკიდებული ყოფილა ასოთ-ამწყობებზე. იმათ შეუძლიანთ გასცენ საზოგადოებაში ავტორები კიდევ და საიდუმლოთაც შეინახონ მათი ვინაობა. თუ კი ვხედავთ, რომ ასოთ-ამწყობს დიდი დამოკიდებულება ჰქონია ლიტერატურასთან და მწერლობასთან, მაშინ მათი კავშირი ლიტერატორებთან ცხოვრებაშიაც აუცილებლად უნდა იყოს გატარებული.

სტამბაში ასოთ-ამწყობობა ყველა დარგის ხელობაზე უფრო დაწინაურებული ხელობაა და პირველი ადგილიც უნდა ეჭიროს, ამიტომ ამ ხელობის მკოდნენი საკმაოდ უნდა იყვნენ თვით-განვითარებულნი. ასოთ-ამწყობი არ უნდა წარმოდგენდეს ამწყობ მანქანას. ზოგიერთს ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს მწერლობამ უნდა დასწეროს, მიუტანოს ასოთ-ამწყობს და თუ კარგს ხელსუფასს მისცემს, იგიც მიაღდება დაზვას, მომართავს თითების მანქანას და დაუწყებს ასოებს კენკვას. მისი საფიქრელია ერთად-ერთი — სამუშაო ჩქარა გაათავოს და თავისუფალი დრო ტყუილ-უბრალოდ გაატაროს.

გაივლის ხოლმე მრავალი ხანი, რომ ზოგიერთი ასოთ-ამწყობი ერთხელაც არ გადაავლებს თვალს თავის დედა-ენაზე დაწერილს წიგნს, თუ ყურნალ-გაზეთებს. უზარ-მაზარ წიგნს ისე ამწყობს, რომ თავსა და ბოლოს ვერაფერს გაუგებს შიგ რა ეწერა. ასეთი ასოთ-ამწყობნი




მანქანასავით მუშაობენ. ზოგიერთნიც ისე უტოდინარნი არიან, რომ ხელთნაწერს ჩიქორთულის ენით ძლაცსა კითხულობენ. ყოფილა შემთხვევები, რომ ამ ნაბეჭდის გასწორების შემდეგ სრულიად ველარ უცენია ავტორის ნაწერი, ისე. ყოფილა დამახინჯებული მრავალის შეცდომებით. რასაკერეღია, ასეთი ნაკლი ყველას არა აქვს. სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომ არა თუ მცირეოდენი ნაკლი აქვთ, არამედ კულტურასთანაც ძალიან დაშორებულნი არიან.

ამ გვარი მიზეზებისა გამო ასოთ-ამწყობად ყველა ვერ გამოდგება. რათა ასეთ ნაკლს სამუდამოდ ბოლო მოეღოს, სტამბაში ისეთები უნდა შევიდნენ ამ ხელობაზე, რომელთაც ერთ ენაზე მაინც საკმაო განათლება აქვსთ მიღებული. აგრედვე თავისითაც უნდა იყოს განვითარებული, რომ აწყობის დროს უცხო სიტყვების ამოკითხვა არ გაუჭირდეს.

კარგად მცოდნესა და ხალისიანს ასოთ-ამწყობს შეუძლია გააუმჯობესოს აწყობის საქმე ისე, რომ რაც შეიძლება მხატვრული სილამაზე მიეცეს ანაწყობს, როგორადაც უცხო გამოცემებშია. აგრედვე შოვალეა, რჩევა-დარიგება მისცეს არა მცოდნე მესტამბეს, რომ შესცვალოს ხოლმე ზოგიერთი დღევანდელი ან ხმარებული ულახათო ასო, ახალი ჯურის ასოებზე. ეს შეადგენს გამოცდილ ასოთ-ამწყობის მოვალეობას.

როგორცა ვსთქვით, ასოთ-ამწყობი აუცილებლად კარგა განვითარებული უნდა იყოს. უსათუოდ იმდენად უნდა იყოს გავარჯიშებული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თითონ შეეძლოს ხოლმე წერილების შესწორება, თუ კი ამას შეხვდება. მაგალითად ხელთ-ნაწერს დედანში რაიმე სიტყვა აკლია და წინადადებაში აზრი დამახინჯებულად გამოდის, ზოგჯერ კიდევ მრავალია ასო-ნაკლები სიტყვა, აქლია აგრედვე ღრამატიკული ნიშნები, რომელი წერილიც მთლად მახინჯდება — აი, იმისთანა უნდა ასოთ-ამწყობი, რომ ყველა ზემოხსენებული ნაკლის გასწორება გაუადვილდეს.

ამისათვის სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებობს ბექდვითი ხელობის შესასწავლად სკოლები. გერმანიაში ამ დარგის შესასწავლად, გარდა მრავალრიცხოვანი პირველდაწყებითი სკოლებისა, არის საშუალო სასწავლებელი და აკადემიაც. რუსეთში არსებობს ორი პირველდაწყებითი სკოლა, გარდა ამისა არსებობს: ბექდვითი ხელობის სკოლა რუსეთის საიმპერატორო-სატეხნიკო საზოგადოებისა, ტეხნიკური სკოლა სახელმწიფო ქალაქების დამზადებელ ექსპედიციასთან, „ნოვოე ვრემისა“ და მოსკოვის სასინოლო სტამბებისა. ყველა ამ სტამბებში ასწავლიან ბექდვითი ხელსაქმებს. ამ რამდენიმე სკო-



ლის მეოხებით რუსეთში ბექდვითი სტამბის მუშაკნი განვითარებულინი არიან სტამბის საქმეებში. ზემოხსენებულს სკოლებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: საღმრთო რჯულს, ანგარიშს, გეომეტრიას, ხაზვას, ისტორიას და გეოგრაფიას, ასოების ჩამოსხმას, აწყობას და ბეჭდვას, ბექდვითი საქმის მექანიკურსა და ქიმიურს ტექნოლოგიას, უცხო ანბანს, ხატვას, მათემატიკურ ნიშნებს და ფორმებს, ფიზიკას, ქიმიას და მექანიკას, ფოტოგრაფიული სურათების გადაღებას, ლითონზე სურათების ამოჭრას და ლითოგრაფიულს ხელობას. ყველა ამისათვის სასწავლებლებში აქვთ შესაფერი მოწყობილება და იარაღი, ასეთი სკოლების უქონლობისა გამო ჩვენში დიდ დაბრკოლებას განიცდის ბექდვითი ხელოვნება.

ჩვენებური ასოთ-ამწყობნი ძველად მთლად ხელობის უცოდინარნი იყვნენ. ისინი არცა საჭიროებდნენ, რომ ყურადღება მიექციათ, რათა ლამაზი ანაწყობი გამოსულიყო. დასასაბუთებლათ ამისა გადაავლეთ თვალი მესამოცდაათე წლების გამოცემებს<sup>1)</sup>. რაც უნდა დაშორებული იყოს ვინმე ამ ხელობასთან, მაინც შეამჩნევს, რომ იმდროინდელს გამოცემებს ეხლანდელი სჯობია, მაგრამ ზოგიერთს მესტამბესა და გამომცემელს ეს ძველი და ახალი, უხეირო და ლამაზი ერთმანერთისაგან ვერ გაურჩევია.

ძველად ასოთ-ამწყობი იმდენად ხელობას არ აქცევდა ყურადღებას, რამდენადაც იმას სცდილობდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა აეწყო და ბლომა საქმე გამოეყვანა, რომ მეტი ფული შეზვედროდა. იმ დროს არც ზომიერ დასვენებას აქცევდნენ ყურადღებას. დილის 6—7 საათიდან და ღამის 10—11 საათამდე შეუსვენებლივ მუშაობდნენ. ასე რომ დღეში არა ნაკლები 13—15 საათის მუშაობა მოსდიოდათ. იმ დროს მათ ამგვარი მუშაობა დიდ ჯაფად არ მიაჩნდათ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ქვეყანაზე სულ ამგვარად იყო მოწყობილი ბექდვითი სახელოსნოები. შეგირდებსაც თავიანთებურადა ზრდიდნენ; ამიტომაც ყველა უცოდინარი გამოდიოდა.

შეიძლება იგულისხმოს ვინმემ, მაშინ რომ ისეთი ულამაზო აწყობილი და დაბეჭდილი გამოცემები ვრცელდებოდა ხალხში, ეს იმის ბრალი იყო, რომ იმ დროს ქართული სტამბის ხელოვნება არ იყო

<sup>1)</sup> ნახეთ ძველი გამოცემანი: „დროება“ 1868 წ., „ნათობი“, 1869 წ., „კრებული“ 1871 წ., „ივერია“ ყოველკვირეული 1877 — 1878 წ.; ყოველთვიური 1882 წ., ყოველდღიური 1889 — 1900 წ., „თეატრი“ 1885 წ., ახალ გამოცემანი: „მოგზაური“ 1901 წ., „აკაკის კრებული“ 1898 წ., და ძველი და ახალი გამოცემული ბროშიურები, რომ ნათლად დამტკიცდეს, იმ დროინდელ ასოთ-ამწყობთათვის ბექდვითი ხელოვნება სრულიად არ არსებულა.



კარგათ განვითარებული, ასოები არა გექონდა მრავალის ჯურისა, და იმაზე მეტი სილამაზის მიცემა შეუძლებელი იყო. ან და მაშინდელ ასოთ-ასწყოებს, რომ დიდი ჯაფა ედგათ, ეს სულ მესტამბეების უკულტურობის ბრალი იყო. ეს მაინც და მაინც ვერაფერი საბუთია. იმ დროსაც იყო ის ვენური და აკადემიური („ციცერო“ და „კორპუსი“<sup>ა)</sup>) ქართული ასოები, რომელიც დღეს არის ხმარებაში, მაგრამ მკითხველი მაინც ვერსად შეხედება მაშინდელ გამოცემებში, რომ წერილი „ციცერო“ ასოთი იყოს ანაწყოები და წერილი ბოლო, სხოლიო კიდევ „კორპუსით“. თავიდან ბოლომდე მთელი წიგნი სულ ერთნაირის ასოთი არის აწყობილი-დაბეჭდილი.


ამას ვინც კი ყურადღებას მიაქცევს, დიდ ნაკლად ჩასთვლის, რადგან გამოცემა დამახინჯებულია. დაწინაურებულ ქვეყნების გამოცემებში ყოველთვის განსხვავებას აძლევენ წერილებსა და სხოლიოებს. ეს უკანასკნელი იმით უნდა ერჩეოდეს, რომ უფრო მომკრო ასოებით იყოს დაბეჭდილი. ჩვენებური ძველი ასოთ-ამწყოები კი ამ წერილსა და სხოლიოს ერთნაირის ასოთი ააწყობდა, შუაში პატარა ხაზს ჩაუსვამდა და ამით გააშორებდა ხოლმე ერთმანეთისაგან.

უფრო უარესი: 1882 წ. ჟურნალ „ივერიაში“ წერილი წერილის ასოებით (აკადემიურით) იყო აწყობილი და ბოლოში სხოლიოში კი მსხვილით (ვენურით), რაც იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს უცხო გამოცემაში. აქაც ხომ არ შეიძლება იმის თქმა: ასოები რომ არ იყო მრავალის ჯურისა, იმიტომ მოხდა ასეო?

ასოთ-ამწყოების სამუშაო ისეთია, რომ გამომცემელი თუ კარგი მცოდნე არ არის ამ ხელობისა, სულ ადვილად შევა შეცდომაში. სადაც შეიძლება 3.000 ასოს ჩატევა, იქ 1.500 ასოზე მეტს არ მოათავსებს. ძველებურს აწყობილში ასეთი სითაღლითე მრავალია. აქ სადაც თითო თირფიტია (შპონია) საკირო, ორ-ორია ნახმარი. აქ თუ მკითხველი კარგათ არ დაუკვირდა, სრულიად ვერაფერს ვერ მიხვდება, რომ მეტისმეტი ფარლალა ადგილებია დარჩენილი ბჭკარებს შუა. შეიძლება ისიც გაიფიქრონ, ალბად ხელოვნება ასე თხოულობდაო.

---

<sup>ა)</sup> ციცერო, კორპუსი, პეტრიტი და ნონარელი — ასოების სინსხოს სახელე-ბია. ციცერო სულ უფროსია, შემდეგ კორპუსია, მერე პეტრიტი და ყველაზე წერი-ლი ნონარელი. ქართულს გამოცემებში მუდმივ ხმარებაშია ციცერო ასო. კორპუსს იშვიათად ხმარობენ. პეტრიტი ხომ სულ არ არის ხმარებაში. ქართული ნონარელი არც არის. უცხო გამოცემებში კი მუდმივ ხმარებაშია კორპუსი, პეტრიტი და ნონ-პარელი.



მოვიყვან ძველად გამოცემულის შესახებ პატარა ანგარიშს, თუ მაშინდელი ასოთ-ამწყოები რამდენს ითაღლითებდა 100 კაბადონიან წიგნში. ყოველ კაბადონში რომ 32 პწკარი იყოს, 100 კაბადონში = 3,200 იქნება; თუ ყოველ პწკარში ორ-ორ ფირფიტას ვიანგარიშებთ (თითო ფირფიტა ორი პუნქტის სიმსხაა), გამოვა 6,400 ფირფიტა, ამაში ნახევარი ნაარმევი. ეს ნახევარი, 3,200 ცალი ფირფიტა რომ შევადგინოთ ასოებზე, გამოვა 533 პწკარი, ესეც რომ ვაქციოთ კაბადონებათ —  $533 : 32 = 16\frac{1}{2}$  — გამოვა, რომ 100 კაბადონიან წიგნში ნამრუდალი ყოფილა  $16\frac{1}{2}$  კაბადონი. 200 კაბადონში კიდევ ორჯელ ამდენი იქნებოდა და ეს კი ღიდად საზარალოა ქართული გამოცემებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც მსხვილ ასოებსა ეხმარობთ, ისიც უნდა ითქვას, რომ ვიდრე ფირფიტა ხმარებაში იქნება, ისეთი ასოთ-ამწობებიც არ გამოიღვეიან, რომელნიც ამგვარ თაღლითობას ჩაიდენენ. <sup>1)</sup>


ზოგიერთ გამომცემელს რაკი ერთი ორჯერ სტამბაში ფეხი შეუდგამს, მას ჰგონია, რომ სტამბის საქმე უკვე ზედმიწევნით შეუსწავლია. თითქმის იქამდეც კი მისულა, ასოთ-ამწობისათვის ეთქვას: მე შენზე უკეთ მესმის ხელობა და სტამბის საქმე, ველარაფერში მომატყუილებო. რასაკვირველია, შემცდარი უნდა იყოს ამისი მთქმელი. ზემონათქვამი ციფრებით აღნიშნული ბწკარები ნათლად ღაღადებენ, რომ არა თუ გამომცემელს, დიდი ხნით სტამბაში ნამყოფსაც კი გაუქირდებათ და ვერ შეიტყობენ ამ თაღლითობას.

თუ წინათ მრავალი ნაკლი ეღობებოდა წინ ქართულს გამოცემებს და მაშინდელი ხელოსნებიც უვარგისნი იყვნენ, სამაგიეროდ ეს ნაკლი ეხლა მაინც უნდა იქმნეს შევსებული უცხო გამოცემების წაბაძვით, რომლის წყალობითაც ქართულს გამოცემებსაც სიღამაზე უნდა მისცემოდა, რადგან ეხლა სტამბის დახელოვნებული მუშები ცოტად თუ ბევრად მოიპოვებიან. რომ ყოველ ნაკლულევენებას მკითხველი კარგად ჩააკვირდეს, იტყვის: ან გამომცემელი არ მოჰკიდებია ბეჯითად, ანდა გამომცემის სურვილი კი ჰქონია, მაგრამ დახელოვნებული კარგად ვერა ყოფილა ამ საქმეშიო — ორივე ეს ერთად კი დიდი ზიანია გამოცემისათვის.

სამწუხარო აქ ერთია. ჩვენში მოზრდილი წიგნების გამოცემა მხოლოდ ერთხელ ხდება და რადგან მსურველთა უმეტესობა, კარგი

<sup>1)</sup> ევროპულს გამოცემებში, ვიდრე საწყობ მანქანას შემოვლდებდნენ და ხელით აწყობდნენ. ფირფიტას არსად ხმარობდნენ. წამლადაც არ იშოვებოდა დრო-გამოშვებით გამოცემების საბეჭდავ განყოფილებაში. საწყობ მანქანაზე ხომ სრულად არა ხმარობენ.






იყო თუ უხეირო, დაკმაყოფილდა, რაც უნდა დიდი ნაკლი ჰქონდეს, გამოცემის ხელახლა აღარაფერ იკისრებს, ვიდრე არ გაივლის ათი -- ოცი წლები. დიდად სასურველი იქნებოდა, რომ ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ ხოლმე ჩვენებური მწიგნობარნი და ხელში არ ჩაუგდებდნენ თავიანთ ნაწერებს ისეთს გამომცემლებს, რომელთაც იმდენად საზოგადო საქმე არ აფიქრებთ, რამდენადაც ფულის მოგების მაღა აქვთ გალიძებული \*).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში დროგამოშვებით გამოცემებიც ისე ვერ იბეჭდება, როგორც საჭიროა. რომ ავიღოთ და შევადაროთ, თუნდა რუსეთის სატახტო ქალაქის გამოცემები ჩვენებურებს, სულ სხვას დავინახავთ. უცხო გამომცემათა სილამაზე მკითხველთა ყურადღებას იქცევს. აწყობილი ლამაზის ასოებით არის, დაბეჭდილიც სუფთაა. თავიდან ბოლომდე რომ გადასინჯოთ, არსად აღმოჩნდება, რომ ერთი ასო მაინც მკრთლად იყოს დაბეჭდილი

ჩვენებური გამოცემები იმგვარი ვერ არის. აწყობილი უსწორმასწოროა, წერილების სათაურები შეუფერებელის ასოებითაა, აწყობილი, განცხადებები ხომ მთლად ულაზათოდაა; დაბეჭდილიც ერთი მხარე რომ ლამაზია, მეორე მკრთალი, რომელიც ნახევარი ვერ წაიკითხება. ამის გამო მრავალ მიზეზებს ასახელებენ, ვითომც უცხო გამოცემებს მრავალი მკითხველი ჰყავდეს და იმიტომ არის, რომ სუფთადა და ლამაზად გამოცემის დიდ ხარჯებსა ჰფარავსო. ასეთი მოსაზრება შემტდარია. ჩვენი გამოცემების დამახინჯება, ისევე ჩვენი ბრალია, რაიცა დაუდევრობათ უნდა ჩაითვალოს. როდესაც დღეს რომ ხმარებაში ქართული ასოებია (ციცერო სიმსხოსი), შეიცვლება იმათი სისტემა, როდესაც გავაუქმებთ იმ ასოებს, რომელიც ძველისძველად არის შემოღებული ხმარებაში, და ვიხმართ იმ ასოებს, რომლის ხმარებაც (ახალი კორპუსი) თანდათან დაიწყეს ზოგიერთ გამოცემებში, მაშინ ჩვენი გამოცემებიც რუსული გაზეთების სილამაზისა იქნება.

ჩვენებური გამომცემლები ისე მაგრა ჩასკიდებიან უხსოვარ დრო-

\*) სანიმუშოდ გადათვალერებულ იქმნას თუნდა 1894 — 1916 წ.წ. გამოცემული ეურნალი „მოამბე“-ს ნომრები. ყველა წერილები თავთავის რიგზეა დალაგებული; ყველა წერილი შესაფერის ასოებით არის აწყობილი და ბეჭდვითი ხელოვნება მტკიცედ არის დატული, ამას გარდა, ერთ საუკეთესო გამოცემა. ტენისი სილამაზის მხრის, ჩაითვლება ბებელის „დუდაკაი“ და სოციალისმი“ ქართული თარგმანი, რომელიც 1912 წ. ქ. ბათომში მ. კლანდანემ გამოსცა. ზემოხსენებული გამომცემანი ნათლად ლაღდებენ, რომ ასოთ-ამწყობებს სკოლიათ თავიანთი ხელობა.



ინდელ ვენურსა და აკადემიურს<sup>8)</sup> ციკერო ზომაზე ჩამოსხმულს ასოებს, რომ ვერაფრით თავი ველარ დაუხწყევიათ. პარიზში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა შეადგინეს და ჩამოასხმევეინეს ერთგვარი ასოები (ჩვენში „პარიზულს“ ეძახიან), რომელსაც შეხედულება მსხვილი და მრგვალი აქვს, ხოლო ზომა კი კორპუსისა და პეტიტის სიმსხოზეა. 1906 წ. ეს ასოები ტფილისში გადმოიტანეს და იხმარებოდა გაზეთ „ისარში“ და „დროებაში“. ამ ასოებით უფრო მეტი მასალა ეტეოდა, ვიდრე ჩვეულებრივ ვენურითა და აკადემიურით.

ამის შემდეგ ერთგვარი ცვლილება კიდევ მოხდა. ჩვეულებრივი ვენური ციკერო ასო გადაკეთდა კორპუსის სიმსხოზე<sup>9)</sup>. ასე, რომ ასოებს არაერთიანი ნირი არ შეეშალა, შეხედულებაც იგივე შერჩა და ალაგი კი ძალიან ცოტა დაიჭირა. ამ ასოებით 1910 წლიდან მხოლოდ „სახალხო გაზეთი“ იბეჭდებოდა.


შემდეგში უფრო უკეთესი ცვლილება მოხდა; ზემოხსენებული ასოების სიმსხო უფრო დაპატარავდა. მოვიყვან მცირე ანგარიშს, თურა დიდი განსხვავებაა ქართულს სხვა და სხვა ზომის ასოებს შორის. ზომა კაბადონისა  $6 \times 10$  ოთხკ.

	1 კაბ. ეტევა.	16 კაბ. ეტევა.
ვენური ციკერო	. 1.815 ასო.	29,040 ასო.
აკადემიური <sup>10)</sup> ციკერო	2.079 „	33,264 „

<sup>8)</sup> აკადემიური ასოები ჯერ კიდევ ისევ 1840 წლამდე ულამაზო იყო; ამას ჯგროვანი ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა, შეალამაზეს, ხასიათი შეუცვალეს და სამეცნიერო აკადემიას გადასცეს შესაძენად. ამ დღიდან უცვლელათ იხმარება. ხოლო ვენური 1863 წლიდან არის ხმარებაში. ეს ასო დ. ბაქრაქემ, თულაშვილმა, ყიფიანმა და ლოლობერიძემ შეადგინეს და ვენაში ჩამოასხმევეინეს.

<sup>9)</sup> ამ ასოების გადაკეთების შესახებ „ქართ. წიგ. გამომც. ამხ.“ ასოების ჩამოსხმულ ხელოსან პავლე გალუსტოვთან (ქართველი ფრანგი იყო) მქონდა მოლაპარაკება და ბოლოს იმ დასკვნას დავადექით, რომ ადვილად შეიძლებოდა ვენური ციკერო ასოების პატარა ზომაზე (კორპუსზე) ჩამოსხმა. 1910 წ. კიდევ ჩამოასხა სანიმუშოდ რამდენიმე ფუთი და გაზ. „დროებაზე“ იხმარებოდა. იმ დროს თანამშრომლებსა და მკითხველ საზოგადოებასაც ეს ასო ძალიან მოეწონათ. ამაზე წინად კიდევ რამდენიმე ჯურის დიდრონი ასოების ნიმუშები გადავეცი ზემოხსენებულ ხელოსანს და გააკეთა კიდევ. ეს ასოები არის  $\frac{1}{2}$  კვ. წაწვენილი და ამავე ზომის სწორე, მოშავო თხელი, რომლებიც რამდენიმე წელიწადია ხმარებაშია. კიდევ მქონდა გადაცემული სხვადასხვა ნიმუშები, მაგრამ აღარ დასცალდა და სიკვდილმა უსწრო.

<sup>10)</sup> აკადემიური კორპუსიც არის. მაგრამ არ იხმარება. ძველად, ვიდრე ვენური კორპუსი არ იყო გამოგონებული, სხოლიოები ამით იწყობოდა ხოლმე და რაკი ეს უკანასკნელი უკეთესი აღმოჩნდა, ამის ხმარება შემოიღეს. აკადემიური



	1 კაბ. ეტევა	16 კაბად. ეტევა
პარიზული კორპუსი	2.562 „	36.432 ასო.
ახალი კორპუსი	2.452 „	39.232 „
წერილი კორპუსი . . .	2.876 „	46.026 „

როგორც ზევითაც ვსთქვი, მუდმივ ხმარებაში ვენური და აკადემიური ციკერო ასოებია. დანარჩენი ასოები იშვიათად იხმარება. რამდენით მეტი ასო ეტევა ვენურს ციკერო ასოებზე დანარჩენი ასოები, შემდეგიდან დავინახავთ:

აკადემიური ციკერო	4,224 ასოთ მეტი, ანუ 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> კაბ.
პარიზული კორპუსი	7.362 „ „ „ 3 კაბ.
ახალი კორპუსი . . .	10.192 „ „ „ 5 <sup>1</sup> / <sub>2</sub> კაბ.
წერილი კორპუსი . . .	16.976 „ „ „ 9 <sup>1</sup> / <sub>2</sub> კაბ.


ახალი კორპუსი ვენურ ციკეროსაგან სათვლილად ძალიან ცოტათი განსხვავდება და ამის მაგიერობას სულ ადვილად გასწევს, რისთვისაც მუდმივ ხმარებაში ეს უკანასკნელი უნდა იქმნეს შემოღებული, რაიცა დიდად სახეირო იქნება გამოცემებისათვის. მაგალითად 96 კაბადონიანი ვენურ ციკერო ასოებით აწყობილ-დაბეჭდილი წიგნი, რომ ახალის კორპუსის ასოებით აიწყოს 64 კაბადონი გამოვა, ე. ი. დააკლდება 32 კაბადონი. მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი გამომცემელი იფიქრებს, ახალი კორპუსით, რომ აიწყოს, ხარჯიც მიემატებაო. ანგარიში ასე არ შეიძლება. ამ შემთხვევაში ხარჯი მარტო აწყობაში ემატება. ქალაქსა და ბეჭდვას კი აკლდება.

ზოგიერთს შემთხვევაში აკადემიურსა და ვენურს ციკერო ასოებს უფირფიტოდ აწყობენ ადგილის მოსაგებად. მიუხედავად იმისა, რომ უცხო გამოცემებში ფირფიტა არ იხმარება, ჩვენშიაც რომ უამისოდ იწყობოდეს ზემოხსენებული ასოები, მაინც იმგვარი ვერ გამოვა და ვერც იმდენს ასოებს ჩაიტევს, რადგან იგინი კორპუსსა და პეტიტს ასოებს ხმარობენ.

ასე რომ ყველაფრით გაკობტავებულია ახალი კორპუსი და ამით დაბეჭდილი გამოცემანი, რაც შეიძლება მომცრო ასოებით არის დაბეჭდილი. თუმცა, ამას გარდა, ჩვენც მოგვეპოვება ძალზე მომცრო ვენური (თხელი) კორპუსი და პეტიტტი ასოები, მაგრამ გაივლის დიდი დრო, რომ მუდმივ სახმარებლად არ გადაიქცეს.

უმთავრესი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ ასოები ჩქარა არ ფუჭდებოდეს. გაფრთხილებით ნახმარი ასოები შეიძლება ოთხი

კორპუსი ეხლა არც ერთ სტამბაში აღარ მოიპოვება, გარდა ასოთ-ჩამომსხმულ კარხნებისა.




წლის განმავლობაში ყოველდღიურად 5000-6000 ფურცელი დაიბეჭდოს. ასოები ხშირად მანქანაზე ბეჭდვის დროს ფუქდება. ამის თავიდან აცილება სულ ადვილად შეიძლება, თუ მბეჭდავი დახელოვნებულია თავის საქმეში და ყურადღებითაც მოეკიდება ბეჭდვითი საქმეს. ასოების ჩქარა გაფუჭების მიზეზად აგრედვე გამომცემელი და ავტორებიც ჩაითვლებიან. თუ დედანი (ხელთნაწერი) კარგად არ არის შესწორებული, მაშინ ცხადია აწყობის შექდეგ უნდა შესწორდეს. თუმცა ამით ასოთ-ამწყობსაც ემატება შრომა, ასოებსაც დიდ ზიანს აყენებს, რადგან სადგისის ჩველეთის დროს მთლად ფუქდება და სახმარებლად აღარ ვარგა.

ცხადია, რაც უნდა გამოცდილი და დახელოვნებული იყოს ასოთ-ამწყობი, თუ მას ხელთ არ უჭირავს ფართეთ განვითარებული მასალა, იგი თავის ხელობას ვერ გამოიყენებს. თუმცა ისიც ხდება, რომ მასალა ბევრია, მაგრამ ასოთ-ამწყობს ვერ მოუხერხებია, როგორც მოიხმაროს.

თუ როდისმე ასოების ახალ სისტემაზე გადაკეთებას შეუდგება ვინმე, საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ქართული ანბანის ბუნება და მოხაზულობის კანონები შემდეგნაირია: ჯერ სულ უმთავრესი თვისება ქართული ასოებისა ის არის, რომ ასოებს ერთმანეთისაგან განსხვავება ემჩნევა, როგორც შუა ტანის მოხაზულობით, ისევე მაღლა ასულისა და დაბლა ჩამოსულის ნაწილებით. რომ შუა ტანი და ზემოთა ნაწილები მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან ყველა ჰანახავს, როდესაც შეადარებს, მაგალითად ბ, მ, ზ, შ, ჩ, რ, ხ, ძ, ს და სხვ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებასთან მოხაზულობა რთულია: მიხვეულ-მოხვეულობა ზევითა ნაწილებისა საჭიროდ ჰხდის წერა-კითხვის ადვილად გარჩევისათვის. — ზევითა ნაწილები უფრო მაღლა ასწიოს, დააშოროს შუა ტანის მიხვეულ მოხაზულობას და ამგვარადვე ქვემოთა ნაწილები ქვემოთ ჩამოსწიოს. ამიტომ ქართულს ანბანში ასოების ზევითა და ქვემოთ ასულ-ჩამოსული ნაწილები გრძელდება. სიგრძე რომ შევაკვეცოთ, ასოს გამორკვევა გაძნელდება, კითხვის დროს თვალებს მთლად ააპრელებს და წერასაც ძალზე გააძნელებს. ევროპიელი წერის დროს მაღლა და დაბლა აწეულ-ჩამოწეულს ასოების ნაწილებს მეტად აგრძელებს ისე, როგორც ქართველი იმგვარსავე ქართულს ასოებს.

აღსანიშნავი ის არის, რომ ევროპიულს ანბანში მაღლა და დაბლა ატანილ-ჩამოტანილ ნაწილებიანი ასოები ძალიან ცოტაა, ვიდრე აზიურში და მათ შორის ქართულშიც ერთმანეთის შესადარებლად ქართული ასოები ცალ-ცალკე გავყოფთ შემდეგნაირად: შუალა




ტანისა --- ა, თ, ი, ე, ო; მალა ასული — ბ, ზ, ც, მ, ხ, ჰ, გ; დაბლა ჩამოსული — გ, დ, ტ, კ, ჯ, ჰ; მალა და დაბლა ასულ-ჩამოსული კ, ქ, ჭ. ახლა შევადაროთ ერმანეთს აზიური (ქართული, სომხური და არაბული) და ევროპიული (რუსული, ლათინური და ბერძნული).

რადგანაც ყველა ზემოხსენებული ანბანის ნიმუშების მოყვანა აქ შეუძლებელია ასოების უქონლობის გამო, ამიტომ შემდეგნაირად შეიძლება აღინიშნოს:

ახოების დაწყო- ბილება	ქართული	სომხური	არაბული	რუსული	ლათინური	ბერძნული
შუა ტანისა. . . . .	5	7	8	31	13	10
მალა ასული. . . . .	14	7	8	1	7	3
დაბლა ჩამოსული. .	15	13	17	2	5	7
მალა და დაბლა ასულ-ჩამოსული .	5	11	1	1	0	4

ამ ცხრილში მოყვანილი ასოების რიცხვი გვიჩვენებს, რომ შუა ტანიანი ასოები ევროპიულს ანბანში მეტია და აზიურში ნაკლები. ამიტომ ევროპიულის ანბანს შუა ტანი დიდი აქვს და აზიურს პატარა. მალა ასული და დაბლა ჩამოსული, ორივე ნაწილები ერთად ევროპიულს ანბანს სულ ცოტა აქვს და აზიურს კი ბევრი; ყველაზე მეტი — ქართულს. ასე რომ მალა ასულის და დაბლა ასულ-ჩამოსული ასოების ნაწილები ლათინურში სულ არის 7 (7+0), რუსულში 2 (1+1), ბერძნულში 7 (3+4), ხოლო ქართულში 19 (14+5). ამ რიცხვებს ვაერთებთ იმიტომ, რომ ასოების ნაწილები შუა ტანს ზევით არის აწეული. ამნაირად დაბლა დაწეულ ნაწილებიანი ასოები არის ლათინურში 4, რუსულში 3, ბერძნულში 11 და ქართულში 20. საერთოდ რომ ავიღოთ შუა ტანის ასოები ლათინურში არის 13, რუსულში 31, ბერძნულში 10 და ქართულში 5; დანარჩენი გრძელი ასოები ლათინურში 12, რუსულში 4, ბერძნულში 14 და ქართულში 34.

ამგვარად ევროპიულს ანბანში უღარესობა ეკუთვნის შუა ტანიან ასოებს, ქართულში კი გრძელებს. ამის გამო სრულიად სხვადასხვა ხასიათი ეძლევა ანბანს. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ევროპიულ ანბანის აწეულ-ჩამოწეულ ნაწილებს მარტივი მოხაზულობა



აქვს და ქართულს კი რთული, რომელიც ძალზე არსებითს განსხვავებას აძლევს ასოს გამოსახულებას.

მაშასადამე, ყველა ზემო ნათქვამიდან აშკარად სჩანს, რომ ქართული ასოების შემუშავების დროს უმთავრესი ყურადღება მიქცეული უნდა ჰქონდეს იმას, რომ ასოს სიგრძესა და შუა ტანს ისეთი ურთიერთობა ჰქონდეს, როგორც ქართული ანბანის მოხაზულობის თვისება მოითხოვს და არა ევროპიულის ანბანისა.

რუსეთში ბეჭდვითი ხელოვნების გასაფართოებლად ასოთ-ამწყობების შეჯიბრებაც კი შემოიღეს. ცხადია, ამით ყველა ასოთ-ამწყობი ეცდებოდა უკეთესად შეესრულებინა სამუშაოს პირობები, რათა პირველი ჯილდო მიეღო. მაგალითად 1895 წ. პეტროგრადში გაიმართა სრულიად რუსეთის ბეჭდვითი გამოფენა და აქვე მოაწყვეს ასოთ-ამწყობთა შეჯიბრებაც. შეჯიბრება ორნაირი იყო: 1) სწრაფად და წესიერად აწყობა (ორამატიკისა და ხელოვნების მხრივ), 2) წვრილმანი საქმეებისა (ბლანკებისა, ფორმების, ცხრილებისა და სხვ.) ამ შეჯიბრებაზე გამოცხადდა 12 ასოთ-ამწყობი; ჯილდო მიიღო მხოლოდ სამმა. წვრილმან საქმეებში 7 ასოთ-ამწყობმა მიიღო მონაწილეობა. უნდა გაეკეთებინათ ბეჭდვითი სკოლის წლიური ანგარიშის ზედაკანი. ამის აწყობაში პირველი ჯილდო მიიღო ასოთ-ამწყობმა ანისიმოვმა, რომლის საუკეთესო შრომათ ჩაითვლება უზარმაზარი წიგნი „ასოთ-ამწყობთა სახელმძღვანელო“. ეს წიგნი გერმანულიდან სთარგმნა და თვითვე გამოსცა მრავალის სურათებითა და სანიმუშო ცხრილებით. შემდეგ წლებშიაც კიდევ მრავალჯერ მოხდა შეჯიბრება და რაც ხანი გადიოდა, იმდენად მატულობდა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთა რიცხვიც.

ამგვარი შეჯიბრებანი რომ ჩვენშიაც გაიმართებოდეს, დიდ სარგებლობას მოუტანდა ბეჭდვითი ხელოვნებას, რადგანაც ცხადად გამოჩნდებოდა, ვინ როგორი მკოდნე იქნებოდა თავის ხელობაში. ამიტომ ყველა ეცდებოდა პირველი ალაგი დაეჭირა და პირველი ჯილდოც მიეღო. ამით ეკვი არ არის ბევრად წინ წაიწევდა ბეჭდვითი ხელოვნება.

